

ყმა - "დღიბუკი"

მოქანდაკე ვაჟა პანიელი

მხატვარი - ნაჟარ ალტმანი

წიგნის შედგენასა და რედაქციაში
მონაწილეობას იღებდნენ:

მხატვრული გამფორმებელი

ეთერი დანიელი - მოძღვრიშვილი

კორექტორი და ასოთამწყობი მემანქანე
ციცინო იოსებაშვილი.




copyright

Daniely Beny,
Armon Hanatsiv 304
Jerusalem

სარჩევი:

- I. "დიბუკის" გამო
მ. ი. ღანიელი 8- 12
2. ებრაულ მისტერიათა მესაიდუმლე
იცხაკ ღავილი 13- 29
3. ორ სამყაროს შორის - "დიბუკი" (ქართულად) 31-149
4. ებრაულ სიტყვათა განმარტებითი
ლექსიკონი 150-152
მ. ღანიელი
5. ორ სამყაროს შორის - "დიბუკი" (ებრაულად)



მორის-მორღეხაი დანიელოვის
და
მოტკე-მორღეხაი მამისთვალოვის
ხსოვნას,
როგორც დიდ ებრაელებს.



"დიბუკის"

გამო.

"აქ არის თეატრი, მაგრამ რაღაც თეატრზე მეტი"...
 გრიგოლ რობაქიძე:
 "გაბიმა" უურნალი
 "ღრომა - დეგელ"
 №26, გვ. 19-21.
 1925 წ.

რა სიმბოლურია: "ლამარას" ახლავს ორი ავ-
 ტორი - გრიგოლ რობაქიძე და ვაჟა-ფშაველა და
 "დიბუკის" ს. ან-სკი /რაპოპორტი/ და ხაიმ-
 ნახმან ბიალიკი.

" ღიბუკმა " - ანუ "ორ სამყაროს შორის" ნაწარმოებმა მსოფლიო სახელი მოიპოვა. იგი იღვმევა: კინოში, დრამატულ და ოპერის თეატრებში. ყველგან ენით უძებელი წარმატება და ტრიუმფი მოიხვეჭა.

გეამაყება აღამიანს ასეთი ბრწყინვალე აღიარება მსოფლიოს მიერ. ამიტომაც გავბედე მეთარგმნა წინასწარმეტყველ მოშეს ივრითის ენიდან ქართულ ენაზე, რადგან პირობა მივეცი ჯადოქარ რეჟისორს კოტე მარჯანიშვილს /მოსკოვში/ ანატოლ ლენაჩარსკის თანდასწრებით.

ქართულმა ენამ - შოთა რუსთაველის ენამ შეისისხლხორცა მთელი ბუნებით ეს ლიტერატურული შედეგრი და ქმნილება.

1930-1948 წლებში თბილისის კულტურის სახლთან არსებული საქართველოს ებრაელთა სტუდიაში რეჟისორ გრიგოლ სულიაშვილის ხელმძღვანელობით, ჩემს მიერ თარგმნილი " ღიბუკი " წაკითხულ იქნა და მისი დადგმა იქვე გადაწყდა. სტუდიამ დიდი აღტაცებით მიიღო და მთელი სწავლის პერიოდში ეტიუდებისა და სცენების სახით ასრულებდნენ; ამ შესანიშნავ მისტერიული ნაწარმოების ღრმა შინაარსიდან ამოღებული უამრავი ეტიუდები, ეპიზოდები, დიალოგები, ფრაგმენტები - გათამაშებული იქნა ზედმიწევნითი წარმატებებით.

გრიგოლ რობაქიძემ 1924 წელს იხილა თეატრპაბიმას მიერ დადგმული /რეჟისორი ევგენი ვახტანგოვი/ " ღიბუკი-ორ სამყაროს შორის " და

1925 წელს ჟურნალ "დროშა"-ში გამოაქვეყნა თავისი შთაბეჭდილება—რეცენზია "გაბიმა — ებრაელთა თეატრი მოსკოვში" სადაც სწერდა: "...ხომ უნდა იქმნეს დიდი რწმენა დიდი კრებულის? ხომ უნდა იქნეს მაგარი ნება? ხომ უნდა იქნეს გრძნობა "მიწის"? ხომ უნდა იყოს განცლა ფესვებით შორეულში გადასული?

ბოლოს და ბოლოს ხომ უნდა იქნეს თეატრი?

თეატრი დიდი გარეშე ამისა არ არის"...ო

ამბობდა მწერალი—შემომქმედი, კი არ ამბობდა, არამედ ხმამაღლა გაიძახოდა. მიჲლად ეს წერილი — რეცენზია თითქოს ერთი სუნთქვით არის დაწერილი და ხმამაღლა თქმული, განცლით, გრძნობით და თითქოს ზეციური ღაღადისით. გეამაყება ადამიანს ასეთი შემართებულად თქმული სიტყვა, გრძნობითა და განცლით. მასთან ერთად ამის მთქმელს განა ეთქმის: " დღეს ეს თეატრი ანაქრონიზმია"...ო ამიტომაც დიდი მოკრძალებით შევნიშნავ... მაპატიოს გრიგოლმა, რომელმაც "დიბუკი"—ს და ვაჟა-ფშაველას "გველის მჭამელი"—ს შთაბეჭდილებით ერთი სუნთქვით დაწერილი "ლამარა"—თი ბრწყინვალე სახელი და ღირსება მოიპოვა.

ვინაბრებდი, რომ ქართულ თეატრს ღირსებოდა "დიბუკი"—ს დადგმა უნიჭიერეს რეჟისორის კობე მარჯანიშვილის მიერ, ისე, როგორც კარლ გუცკოვის —"ურიელ აკოსტა", რომელიც დღემდე სახელოვნად იდგმევა, მისი სახელობის სახელმწიფო აკადემიურ თეატრში... მაგრამ, ვაგლახ, რომ სიკვდილმა არ

აცალა, ალბად ბედია ასეთი... ეგების ახლო მომავალმა უკეთესად გადაჭრას ჩვენი ნატივრა და სურვილი, როგორც ებრაულ ისე ქართულ თეატრში.

აქ მინდა დიდი მოწიწებითა და მაღლიერებით მოვიხსენიო ჩემი სიყრმის მეგობრები - ძმები ხაიმ-იოსებ მამისთვალოვი /რომელმაც სპეციალურად დაამთავრა აგრონომიული ფაკულტეტი ისრაელში ამოსვლისადვის, რისთვისაც იღწვოდა მთელი არსებით და შემოქმედებით, მაგრამ სამწუხაროდ სიკვდილმა უწია. ახლა, როგორც გადმომცეს მისი ოჯახი ისრაელში იმყოფება/ და მოტკე-მორღეხაი მამისთვალოვი დიდად ტანჯული, ნამდვილი ენათმეცნიერი და დიდი ებრაელი. აგრეთვე რაბი ისრაელ ბაბალიკაშვილი და იურისტი იეხისკიელ ჯინჯიხაშვილი. მათი გულისხმიერება "ლიბუკი"-ს თარგმნის პერიოდში დღემდე მომყვება /განისვენონ სადაც ჯერ არს, ამენ!/.

აგრეთვე სიყვარულითა და გულისხმიერებით მომეკიდნენ რაფი ბარ-ლავი და მთავრობის მეთაურის მრჩეველი, ისრაელის კავკასიოლოგიური ცენტრის პროფესორი იცხაკ დავიდი /იგი წარმოადგენს აგრეთვე არაერთი უცხოური სამეცნიერო დაწესებულებებისა და აკადემიის საპატიო წევრს, რაც ახალგაზრდა მეცნიერის მიღწევათა სამართლიანი საერთაშორისო აღიარებაა/. აქვე აღვნიშნავთ, რომ მისი რუსულენოვანი ორტომეული ფუნდამენტალური მონოგრაფია "История Евреев на Кавказе" ახლახან გამოიცა. მზადდება მისივე რუსულენოვანი ნაშრო-

მი "კავკასიის ებრაელთა უძველესი ისტორია" და ინგლისურენოვანი გამოკვლევა "კავკასიური პალესტინოლოგია", რომელიც დეტალურად მიმოიხილავს და აანალიზებს კავკასია-საქართველოს და ძველი პალესტინის ისტორიულ ურთიერთობებს ათასწლეულების მანძილზე.

მისასაღმებელი და სასიხარულოა, რომ ი. დავიდი წარმატებით უთავსებს ერთმანეთს ინტენსიურ სახელმწიფოებრივ-პოლიტიკურ მუშაობას და საინტერესო მრავალმხრივ მეცნიერულ კვლევა-ძიებებს.

დასასრულს აღვნიშნავდი აგრეთვე, რომ მუშაობის პროცესშია და მზადდება ჩვენი მესამე წიგნი სათაურით "ჩემი...." და იმედია ქართულენოვანი მკითხველი ჩქარა მიიღებს მას.

დიდი მადლობა ყველა ჩემს კოლეგასა და მეგობარს წლების განმავლობაში თანადგომისა და საზოგადოებრივი თანამშრომლობისათვის.

გიორგი დანიელი

ებრაულ მისტიკრიათა მესაიდუმლო

"აპრილის ბოლო, 1924. მოსკოვი.

ვეძებ ებრაელთა თეატრს "გაბიმას". - ასე იწყებს გამოჩენილი ქართველი მწერალი გრიგოლ რობაქიძე თავის ბრწყინვალე ეტიუდს ებრაულ მოსკოვური თეატრის "გაბიმას" მიერ დადგმულ პიესის "ჰადიბუკის" შესახებ. და როცა ჩვენ უფრო და უფრო ვუღრმავდებით და ვაანალიზებთ ცნობილი რუსი ებრაელი დრამატურგისა და მწერლის სიმონ აკიმოვიჩ რაპპოპორტის /ფსევდონიმი: ან-სკი/ ნაწარმოებს "ჰადიბუკ" ვრწმუნდებით ამ საოცარი, ვიტყოდით მრავალსაუკუნოვანი ებრაული მისტიური სულის უკვდავებაში, რომელმაც დიდი გავლენა მოახდინა როგორც რუსულ - ქართულ, ასევე ზოგადებრაულ ლიტერატურულ ანალოგიურ ჟანრებზე.

ან-სკი 1863 წელს დაიბადა ქ. ვიტებსკში, ორთოდოქსალურ ებრაულ ოჯახში. როგორც არსებული ბიოგრაფიული წყაროებიდან ვგებულობთ, ნორჩი მწერლის ჩამოყალიბებაზე მნიშვნელოვანი გავლენა დედას მოუხდენია. /იხ. მ. ლაზარევი. ლიტერატურული მატანე. ჟურნ. "ვოსხოდი" 1895, წნ. V-VI; ასევე ე. ბრონშტეინი, ებრაული მასების ყოფაცხოვრების აღმწერნი, ვოსხოდი. 1905, წ. X /რუს/ ან-სკიმ თავდაპირველი დაწყებითი რელიგიური განათლება მიიღო, ხოლო 17 წლის ასაკში დაეუფლა რუსულ მართლწერას და ზოგად განათლებას ეზიარა.

1881 წელს ან-სკი ლიონოში დასახლდა, სადაც თავს გაკვეთილების მიცემით ირჩენდა, თუმც ძალიან ჩქარა იქნა შემჩნეული თავისუფალი აზროვნებისათვის და იძულებული გახდა დვინსკში გადასულიყო საცხოვრებლად, სადაც წიგნების საკინძავ სახელსნოში შეუღდა მუშაობას.

ან-სკის ერთერთ პირველ ლიტერატურულ ნაწარმოებს წარმოადგენს ილიშზე დაწერილი "ერთი ოჯახის ისტორია" /"ფსევდონიმის" ხელმოწერით გამოიცა რუსულად 1883 წელს ჟურნალ "ვოსხოდის" ფურცლებზე და გადაბეჭდილ იქნა "გერი შვილების" "ПАСЫНКИ" სათაურით 1905 წელს/.

ჩქარა ან-სკი ხალხსნურმა მოძრაობამ გაიტაცა და ხელი მიჰყო გლეხთა ბავშვების მომზადებას, თუმც როგორც ებრაელი ჩქარა იქნა გასახლებული სოფლიდან. ამიერიდან იწყება მისი ხეტიალი ეკატერინოსლავის გუბერნიის რაიონებს შორის, სადაც დაუახლოვდა მშრომელ, უბრალო ხალხთ. მათ უმართავდა სახალხო კითხვას და ეწეოდა საგანმანათლებლო საქმეს.

ცნობილი მწერლის გლებ უსპენსკის პირდაპირი გავლენით ან-სკიმ დაწერა რამდენიმე საყოფაცხოვრებო ნარკვევი, მათ შორის: В кабане /1886/ В усадьбе /1886/ На новые земли /1889/ Торги

და აი 1890- იან წლებში ან-სკი პარიზს მიემგზავრება, სადაც ეცნობა ფრანგულ მუშათა მოძრაობას, 1894 წელს ცნობილი ანარქისტი - იდეოლოგი პ. ლავროვი მას იწვევს სამუშაოდ მდივნის

თანამდებობაზე /1900 წლამდე/.

აქ, საფრანგეთში ან-სკი ისევ უბრუნდება ებრაულ თემატიკას, დაწერა მოთხრობები:

„Первая ласточка“ „Разрушители ограды“
ასევე არაერთი ლექსი და სიმღერა, მათ შორის

რომელიც ფაქტიურად ებრაელი მუშების მარსელიოზად იქცა. ან-სკიმ შეთხზა ერთაქტიანი პიესა ილიშზე "მამა და შვილი" პოემა "აშმედაი" /1909/.

1905 წელს ან-სკი რუსეთში ბრუნდება და ქმედით მონაწილეობას იღებს რუსულ-ებრაულ ხალხოსნურ გამოცემებსა და ორგანოებში.

ან-სკი ცნობილია როგორც უტენდენციო მწერალი, თუ საკუთრივ ისტორიულ სიუჟეტებსა და შინაარსს არ ჩავთვლით ტენდენციად. იგი რეალისტურად აღწერს სინამდვილეს, დასკვნების გაკეთებას კი მკითხველს ანდობს, ან-სკის სტილი მკაცრია და შეკუმშული, თხრობის მანერა მიმზიდველი თავის ობიექტურობით.

თავის ებრაულ-თემოვან თხზულებებში ან-სკი შეეცადა გადმოეცა ებრაული ყოფის თავისებური, კოლორიტული სურათი, ან-სკის მიერ დახატული ტიპები და პერსონაჟები ასახავენ თვითმყოფად ძველ ებრაულ სამყაროს, ისინი თითქოს მოწყვეტილები არიან "ამა ქვეყნიდან". ბავშვებივით გულუბრყვილონი თავის თავს სამყაროს ცენტრში წარმოიდგენენ, თითქოს ყოველივე და ყველაფერი მხოლოდ მათთვის სრულდება, თითქოს ისტორიული პერსპექ-

ტივა ერთდავად ასეთ აწმყოშია გაყინული.

თავის დიდ ნაწარმოებში "В новом русле" / 1907/ ან-სკიმ გადმოსცა ებრაულ სინამდვილეში ახლად შემოჭრილი ტალღის არაერთი საინტერესო სილუეტი და სახე.

"ჰადიბუკის" გარდა, როგორც აღინიშნა ან-სკის კალამს ეკუთვნის რომანტიკულ-იუმორისტული ეპოსი "აშმედად", რომელიც იდიშურენოვანი მწერლობის ერთ-ერთ საუკეთესო ნაწარმოებს წარმოადგენს. Литературная летопись, Евр. жизнь, 1907

Еврейская Энциклопедия, т. 2, 617-618

იხ. აგრეთვე ზ. რეიზენ "ლექსიკონ" /იდიშზე/.

ან-სკის შემოქმედება, კერძოდ კი მისი პოეზია იდიშზე დატვირთულია ებრაული ღუბჭირი ყოველდღიურობით, მტკივნეული სოციალურ-ეკონომიური პრობლემატიკით, აი, თუნდაც მისი შესანიშნავი ლექსი ავილოთ "მკერავი" /ღერ შნედღერ/ ანდა "ემიგრანტის სიმღერა" /ემიგრანტენ-ლიდ/, რომელშიც მკვეთრადაა გამოხატული მარად მოხეტიალე მოწოწიალე ებრაელის სულიერი განწყობილება, აი რამდენიმე სტრიქონი ამ ლექსიდან ჩვენს მიერ შესრულებული თარგმანის მიხედვით იდიშიდან:

"ჩვენ ვხეტიალობთ, ჩვენ ვხეტიალობთ
ერთი ქვეყნიდან მეორეში
შიმშილსა და სიცცივეში
სასოწარკვეთილნი, გამწარებულნი
შეძრწუნებულნი, აკანკალებულნი
ჩვენ, სისასტიკე ამა ქვეყნისა"...

უკანასკნელ სტროფში უკვე ოპტიმისტური ტენ-
დენცია გამოსჭვივის:

"ჩვენ მოგვაქვს ძალა და მშრომელის ხელები
სალკლდოვანი შეპირისპირების უნარი,
სიმამაცე და სიგმირე
ჩვენ მოგვაქვს ამ ჩვენს ქუჩაზე -
ცეცხლგამოვლილი, სისხლამოვლებულნი,
ადამიანურ სიბუღვილში
მომავალი სამყარო.
ახლა, უფრო ღიღი, უფრო ლამაზი
და წამოიძარება ეს ქვეყანა,
რომელსაც ჩვენ ვაშენებთ, ჩვენი სულისკვეთებიც
ჩვენივე სისხლით, ჩვენ მოქალაქენი
სამყაროსი".

/თარგმანი ილიშიდან ი. დავიდი/.

მართლაც, რომ შესანიშნავია პოეტური ქმნილება
"აშმოდეჟ", მშვენიერ ილიშურ რთმებში მრავალ-
საუკუნოვანი ებრაული სევდა და ნაღველია დაგუ-
ბებული, აი, მცირედი ფრაგმენტი, სიტყვასიტყვით
თარგმნილი ჩვენს მიერ:

"ადამიანური ცრემლების მარილიან ზღვაში
ერთი უსაშინლესი უფსკრული მდებარეობს
იგი აღარც შეიძლება იყოს უფრო ღრმა,
უფრო წკვარამი,
მას ხომ სისხლოვანი ნაკადი ხატავს.

ამ უფსკრულში ათასწლეულობით
იმარხებოდა რწმენა და სიბუღვილი,
ტანჯვა და ვაება

და აი, კვლავ ახალ ათასწეულებში
წვეთავს და წვეთავს იქ ცრემლი.

ეს უფსკრული ებრაული ცრემლითაა სავსე
მას არ გააჩნია არც ნაპირი და
არც სამანი..."

შემთხვევითი როდია გრიგოლ რობაქიძის ხსენება, როცა ქართულ - რუსულ - ებრაულ მისტერიებზე გვაქვს საუბარი, არც ისაა შემთხვევითი, რომ ჩვენმა ჩინებულმა უფროსმა კოლეგამ მოშე დანი-ელავმა თარგმნა ქართულიდან ებრაულად "ლამარა" /იხ. თბილისი-იერუშალიმი - 1986. მთ. რელაქტორი იცხაკ დავიდი, სარელაქციო კოლეგია: რ. ბალუა-შვილი, შ. დავითაშვილი, მ. ჯანაშვილი, ბ. დანი-ელი/.

თვით ებრაულენოვან წინასიტყვაობაში მოსე დანიელოვი წერს: "განსაკუთრებული ხვედრი მეწილადა, აქ, ჩემს სამშობლო ისრაელში ხელი მომეკიდა გრიგოლ რობაქიძის პასტორალური პოემის "ლამარას" თარგმნისათვის... ამ დიდებულ პოეზიაში შესანიშნავადაა ასახული მთელი ტომების ხვესურებისა და ფშავების სპეციფიკური ყოფა, ენა. ამის ჩინებული დადასტურებაა ვაჟა ფშაველას ნაწარმოები "გველის მჭამელი" /იხ. "ლამარა" გვ. 2 /ებრ/

და მართლაც რაღაც შინაგანად ახლოური აკავშირებს ერთმანეთთან ვაჟას, გრიგოლ რობაქიძეს, ან-სკის...

ამიტომაც ესოდენ ბუნებრივად რომ აღიქვამს გრ. რობაქიძე, რუსი ებრაელი მწერლის მისტიურ ნაწარმოებს, იგი წერს: "ავტორს /ან-სკის/ უმოგზაურია უკრაინისა და პოლონეთის ებრაელთა შორის. ყური უგდია მოხუცთა თხრობათაჲთაჲს. დიდი ცადიკები და ხერმეები. ყოფა ძველი და საიდუმლო. აი, მასალა. ორიგინალი ახალ-ებრაულზე /"იდიშ"/ ბიალიკს ძველ-ებრაულზე გადაუღია /"ივრიტ"/..." თითქოს გრიგოლ რობაქიძე ერთთავად ხლებდა ან-სკისეული მისტიკა-შეყრილი პერსონაჟების თანაზიარი, მათთან ერთად იმეორებს ისიც: "რისთვის, რისთვის ილტვის სული სიმაღლეთაგან უფსკრულისაკენ?! რისთვის, რისთვის ილტვის სული დავარდნიდან ამალღებისაკენ?!"

რობაქიძე მონუსხულია "ჰადიბუკში" წარმოსახული ქალ-ვაჟური სიყვარულის მაგიით. ლეა-ხანანი: "შეირხევა კვიპაროსის ხესავით და სვეტს მოეხვევა. ამ ჰოზაში იგი მარდაც კვიპაროსის ხეა. მაღალი, მოქნილი: ისრაელის ასულის სევდიანი თვალები, ქალწული ტუჩები, ზემო ბაგე თითქო ოღნავ გაპობილი, ძველი სუფთა პროფილი, მაგრამ ხელები, ხელები, რომლებიც ამწამს სვეტს შემოაჭლო?! ეს სანთლის მასრები ნუშისებურ ჩაკვეთილი ფრჩხილებში - ასეთი ხელები მე ჯერ არ მინახავს"... წერს გრიგოლ რობაქიძე და ჩვენც გვაწილადებს ამ უცნაურ ძველსა და ახალ, ესოდენ ბუნებრივ, მისტიურ სიყვარულს ებრაული წყვილისას.

გრიგოლ რობაქიძე ის ქართველი გენია იყო რომელმაც ქართული ისტორიული მისტიკრიამბეტყველებიდან, ახალი, უხადო, ხალას ნიჭ-ნაპკურები მონუმენტი გამოპერწა - "გველის პერანგი". ძველი მახლობელი აღმოსავლეთის ცივილიზაცია - რელიქვიები. შინაგანად შეერწყა მეკეშისეული ხელოვნების პრაქტიკულ სინთეზს. სტილი, სტილიც ხომ წმინდა რობაქიძისეულია, ორგანულად გადმოტანილი მ. დანიელოვის მიერ ან-სკის "ჰადიბუკის" თარგმანისას. არაერთხელ მიხსენებია კიდევ ჩვენი მოსე ბატონისათვის: შენ გვაზარე ამ დიდ ლიტერატურულ ხელოვნებას, ესოდენ მაგიურად ათინათებულს ვაჟასთან, რობაქიძესთან, ან-სკისთან, შენით ვარდ დავალებულნი-მეთქი ჩვენო სასიქალეულო კოლეგავ და მოძღვარო-მქო. და სულ ერთია სამყაროს რომელ კუთხეში არ უნდა ვიყო: ესპანეთში, ამერიკაში, ფილიპინებში, ისრაელსა თუ იაპონიაში ეს მისტიური კომპლექსი ამოქარგულ-ამოტვიფრული ენისა და სტილის გზავარდინებზე რუსულად, ებრაულად, ქართულად, იდიშზე არა და არ მშორდება, მოსვენებას არ მაძლევს, სუნთქავს, შიშვლდება, ცალკევედება, ანალიზდება, მთლიანდება, სამყაროსეული მყუდროების თვალუწვდენლობაში. ფიქრებს ღვარძქაფად ატყდება მოძალებული ფეთქვა რობაქიძისეული "ორსული მთვარისა" და, აი ვუსმენ:

"-რუახჰ ელოლჰიმ..

-რუახჰ ელოლჰიმ?!

-ყველგან რუახჰ ელოლჰიმ.. ყველგან..

თითქო ლოცულობს სპარსი თუ შინდუ თუ ეგვიპტელი. ჭორჭლიან ნაყვავილებ სახეს მძვარეს არ აცილებს. არჩიბალდ მეკეში გაშტერებით უყურებს.

—თქვენ ხომ ჰებრაელი არა ხართ?!

—ეს მარტო ჰებრაელმა იგრძნო..

ტაბა ტაბაი ცაზე მიუთითებს. არჩიბალდ სდუმს, სპარსი თუ შინდუ თუ ეგვიპტელი თავის თავს ებაასება ნატეხი სიტყვებით.

—თვითეული და მთელი..

მთელი — არა გროვა ცალკეულების —

არამედ: სხეული თვითეულების..

თვითეული მარტო: თითქო მთელს გამოყოფილი.

თვითეული სხვებთან თითქო მთელში გახსნილი.

ქვა. მცენარე. წყალი. ცხოველი. კაცი.

ყოველი ამ რიგით და ამ სახით..

ერთი ჰქმნის მეორეს. მეორე მესამეს.

მესამე მეოთხეს.

და ასე ბოლომდის —

სანამ რკალი თავის პირველ რკალს

არ დაუბრუნდება.

საწიშარი რკალი:

გველი რომელიც თავის კუდსა კბენს..

ყველანი ჰქმნიან ერთმეორეს. საოცარი..

ყველას?! ვინ ჰქმნის?!

ერთი. დიდი. უსახელო..

რუახპ ელოლპიმ: სუნთქვა უსახელოსი.."

/იხ. გრიგოლ რობაქიძე, გველის პერანგი, ფალესტრა. თბილისი. 1988. გვ. 43/

და განა შემთხვევითი იყო გრ. რობაქიძის სიტყვა-დახასიათება ან-სკის ბრწყინვალე პოემისა, რაღა უნდა დაამატო წარმოდგენილს, ასახულს, განცდილს, მოსმენილს, ნახულს?! ზოგჯერ ხომ დამატებით პირიქით დააკლებ კიდევ. განა არაა ნათელი "ჰადიბუკის" მთელი დედამისი ებრაულ მისტიურ მყოვრობას რომ ჰყენს ნათელს მოცემულ აღამიანურ სინამდვილეში გადმოტანილს, გადმონერგილსა და ჩაბუდებულს?!

აი ვხედავთ რაბ-ყაზრეღ მიროპოლელს ახალგაზრდა ებრაელ ქალიშვილში ჩასადგურებულ სულს რომ ესაუბრება:

რაბი ყაზრეღი: ღიბუკო! გიბრბანებ თქვა, ვინა ხარ?

ღა: /ღიბუკი/. რაბი მიროპოლელი! შენ უკვე იცი ვინცა ვარ. სხვებს კი არ მინდა გავუმხილო ჩემი სახელი.

რაბი ყაზრეღი: კვლავ ვმბრბანებლობ შენზე მი-თხრა, ვინა ხარ შენ?

ღა: /ღიბუკი/. მე ერთი იმათგანი ვარ, რომელნიც ახალ გზებს დაეძებენ...

რაბი ყაზრეღი: გზებს მხოლოდ სწორ გზას აცდენილნი დაეძებენ. ვინც მართებულ გზაზე დგას, იგი რწმენით დაიარება.

ღა: /ღიბუკი/. ძნელია იგი.

და შემდეგ კიდევ უფრო მწველი და მბაფრი ხდება მიროპოლელი რაბის შეგონება:

რაბი ყაზრიელი: მიღმა ქვეყნად წახვედი და შენი ადგილი იქ არის, ვიდრე მკვდრეთით აღდგომის უამი დადგებოდეს. ამიტომაც ვბრძანებლობ შენზე, რომ გამოხვიდე ქალწულის სხეულიდან და დაუბრუნდე შენს სავანეს.

ლკა: /დიბუკი.ჩუმად/. ცადიკო მიროპოლელი ვიცი, რამდენად დიდი და ძლიერი ხარ შენ! ვიცოდი, რომ ანგელოზები და სერაფიმები შენს ბაგეთაგან წარმოთქმულ ბრძანებებს შეასრულებენ. თუმცა - მე არ დაგმორჩილდები და არც დაგიჯერებ./ გამწარებულად/. არ ვიცი, საით უნდა წავიდე და ქვეყნად არა მაქვს სხვა სავანე, გარდა იმ ადგილისა, სადაც დავისადგურე. იქ, გარეთ საშინელი უფსკრული მიქადის შთანთქვას და სატანები და ეშმაკები დას-დასებად მომელიან, რომ შემმუსრონ. არ გამოვალ! არ შემიძლია გამოვიდე!

და ბოლოს, იწყება უკანასკნელი ეტაპი იმ დიდი ჯაჭვისა, რომელსაც ებრაული კოსმოლოგიურ-მისტიური შეგონება ჰქვია:

რაბი ყაზრიელი: /წამოდგება/. სახელითა მრევლისა ისრაელის შვილებისადა, ერისა წმიდისა და სახელითა წმიდა ცადიკიმებისა, მე ყაზრიელ ბენ ჰადასამ გარდავწყვიტე შენზე, დიბუკო, რომ ახ-

ღაც, დაუყოვნებლივ გამოხვიდე ხანას ასული ქალწული ლეას სხეულიდან, გამოსვლისას არ მიაყენო არავითარი ვნება არც ქალწულს და არც ერთ აქ დამსწრე ადამიანთაგანს და არც ქვეყნად რომელიმე გარჩენილთაგანს. და თუ არ გამოხვალ, დაგადგები და შეგარჩენებ. ექსორიაგყოფ; შეგარისხავ, მოგაყენებ წყევლა-კრულვასა და ხელით მოქნეულის ყოველივე ძალას... და თუ შეასრულებ ჩემს თხოვნას, შევეცდები, რაც ძალი და ღონე მაქვს, გილხინო შენ და მოგაშორო ყველა ის სატანა და ეშმაკი, რომლებიც შენ გარს შემოგხვევიან.

ლმ: /ღიბუკი/. შენი შერჩენებისა და წყევლა-კრულვისა არ მეშინია და არც შენი დაპირებისა მჯერა. ქვეყნად არ არის ბალა, რომელსაც შეეძლოს მომანიჭოს განსვენება.

ებრაული კაბალისტური მსოფლმხედველობის თეორიული ზღუდე კოსმიურ სფეროში განსახიერებული, თავისებურ ცნება - კონცეპტებად სახელდართული, პრაქტიკულ სუგესტიაში გადადის, ამ შემთხვევაში რიგითი ებრაელი მიროპოლელი რაბისაგან რიგით ებრაელ ქალიშვილში. და ეს არცაა ლიტონი შეგონება, ეს რწმენის იდეალური ძალაა, რომლის განუმეორებლობაში ამ სტრიქონების ავტორს ჰქონდა შესაძლებლობა დარწმუნებულყოფიან თანამედროვე ებრაულ - ორთოდოქსური, ხასიდური მიმდინარეობის სულიერ მოძღვარ რაბი მენახემ მენდელ შნეერსონთან საუბრისას აშშ-ში 1990 წლის მარტ-აპრილში. ახლაც, ამ შემთხვევაში, ნათელი გახდა ის ძლიერ-

ერი ზებუნებრივი ქმედების საკმაოდ რთული მექანიზმი, რომელიც საუკუნეების განმავლობაში ჩამოყალიბდა ებრაულ მისტიურ-კაბალისტურ აზროვნებაში და ესოდენ დიდი გავლენა აქვს მსოფლიოში ახალი ნეომისტიკური ტენდენციების შექმნის პროცესზე.

გრიგოლ რობაქიძე ან-სკისეული ლეას სიყვარულის მაგიურ რკალზე ლაპარაკობს, მისი სულის უკვდავებაზე, ხოლო სხეულის მოკვდავობაზე, რობაქიძე უღაფოდ არის ქალის ბუნების საიდუმლოს განუმეორებელი შემგრძნობი, ეს კარგად ჩანს არა მარტო მის მიერ ან-სკის ქალური პერსონაჟების აღქმაში, არამედ საკუთრივ მის ორიგინალურ შემოქმედებაში, აი, თუნდაც სარგის პეტრიძის მიერ წაკითხულ ლექსს ჩავუკვირდეთ "გველის პერანგში" რომელიღაც პერგამენტიდან; აქ ესოდენ ძლიერია გრიგოლ რობაქიძე, არა მარტო როგორც მოაზროვნე პოეტი-ფილოსოფოსი, არამედ როგორც ადამიანი-მამაკაცი, რომ უნებურად გეჩვენება რომ შენც ხდები ამ ქალური ბუნების შემგრძნები თანამოზიარე:

"ტანს გეტმასნება სველი ალერდი.
 ჭვირვალი კაბა გიმხელს თეძოებს.
 და აზიდული მაღალი მკერდით
 მიეფინები მწვანე ეზოებს.
 დაქნილი ფრჩხილით ტაროებს კორტნი
 და ტაროც ხვდება ძუძუს რძიანი.
 გაკოცებს ხავო სიმინდის ყლორტის -
 და ატევირილი სხეულმზიანი

როგორც ავაზა

შენ ტანხურვალა

ღაებებ კუროს -

რომ დაგიურვოს...

გხელავ და ვიცი: შენი კუნთები

დათესლილია ჩემი სურვილით.

წამოვიწევი.. შენ გაბრუნდები

გადაღწილი მხეცის წყურვილით -

და გავარდები...

დაგედევნები..

დღეიანი მუხლები თითქო ჰკივიან:

შენი ვარ შენი მოდი გევნები.

მეც დაგეწევი და ცხელწვივიანს

აგიყვან ხელში

და გადაგისვრი დიდ საწნახელში -

რომ შენი ტანით დავსრისო მაგრად

მწიფე მტევნები...

მაგრამ თვალები -

თვალები - თვალები: -

უნდობი ტალღა და ხვლიკი ლუში.

ათასი ქალი ყველა მრუში.

აშარა თუ ხარ კახპა და ურცხვი.

გწყურია ვაჟი უცხო და უცხო.

არა ხარ ჩემი. არ ხარ არვისა.

თუმც არაოდეს არ ხარ უარზე.

იცოდე: მოვგრებ ნებას ყუაზე.

ერბაშად შეგსვამ ღვინოს ქარვისა.

და შენი თმების წითური მორგვიდ

მიგაკრავ მაგრად
ცხენის ბუაზე...

მაგრამ თვალები -

თვალები - თვალები:

ეხლა მადონა - წმინდა - ხასხასა.

რა გიყო მე შენ უძლებო ხასავ?!
ნელი და ტკბილი

ქვემეფინები -

რომ გადავიქცეთ ჩვენ კიდეც წყვილი.

ელამურ ღიმილს მომახვევ რიდე.

მეც დავრბილდები რისხვარის მოშლით.

აგამზეურებ როგორც შუბის ტარს

ირუბა ქიძის

და ერთხელ კიდეც

გასუდრულ მტევანს

გაგშოლტავ ლომნიძე"...

გაგშოლტავ ლომნიძე"...

თავისი ნარკვევის დასასრულს გრიგოლ რობაქიძე ლაპარაკობს თეატრალურ ანაქრონიზმზე, ლაპარაკობს "ჰაბიმაზე" სადაც მან 1924 წელს ანსკის "ჰადიბუკის" დადგმა იხილა. ღღეს ისევ ცოცხლდება ეს თეატრალური გრძნობა ამჯერად ქართულად ჩვენი სასიქადულო მოღვაწისა და მწერლის, ისრაელის კავკასიოლოგიური ცენტრის სამეცნიერო საბჭოს თ-რის, გაჰონოვის სახ. ლიტერატურულ - მთარგმნელობითი წრის ერთერთი დამაარსებლის, საქართველოს ებრაელთა მსოფლიო ასოციაციის გამგეობის წევრის მოსე დანიელოვის მარგმანის სახით,

რაშია მაინც დანიელოვისეული თარგმანის ღირსება? - ვკითხულობთ ჩვენ და ვუპასუხებთ, ღირსება სწორედ იმაშია, რომ მთარგმნელმა ვირტუოზულად შესძლო ან-სკის /რაპოპორტის/ ლენინის ენისა და სტილისადმი შეერწყა - შეესაბამებინა ისეთი ქართული, რომელიც თავისი ბუნებით, დროთა წიაღ-სველობით, შინაარსობრივი სისავსით ზედმიწევნით ამოწურავს ორიგინალური ტექსტის სპეციფიკურ მხარეს. კითხულობ "ჰადიბუკის" ქართულ თარგმანს და გგონია გრ. რობაქიძის, კონსტ. გამსახურდიას თხზულებებს კითხულობ.

აღექვატურადაა გადმოცემული საკუთარ სახელთა და სპეციფიკურ ტერმინთა კომპლექსი, აღწერა-დახასიათების პირობითი სიძუნწის საპირისპიროდ წარმოდგენილია შინაარსობრივ - კონცეპტუალური სიმდიდრე.

მ. დანიელოვი ჩინებულად ართმევს თავს ე.წ. ებრაული მა'ასიოთებს /მონათხრობი ეპიზოდები/ გადმოქართულების ამოცანას. მივუთითებთ ნეტარ ისრაელ რუჟინელის ეპიზოდსა თუ ლეგენდა-მონა-ყოლზე პირველყოფილ გველზე.

ანდა ამ საოცარ ქართულ ლექსიკურ მარაგს გადავხედოთ "ბურჯული ალი", "უფალო განმარინენ", "ხორცის არშივი", "სადლის ჩაროზი" და სხვ. განუმეორებელია თავის სისპეციაკით და ღრმად ჩაწვდომილი აღქმის ხელახალი ქართული გააზრებით პოემა "ჰადიბუკში" მოყვანილი I658 წელს დახოცილი ნეფე-პატარბლის საფლავთან ცეკვის ეპიზოდი.

ამდენად, მოსე დანიელოვის მიერ შესრულებული თარგმანი ერთხელ კიდევ აცოცხლებს ქართულ-ებრაული მისტიკების გარემოს ესოდენ საუცხოოდ, ესოდენ შთამბეჭდავად რის გამოც მთელი ჩვენი თაობაა მისი დავალებული.

იცხაკ დავიდი.

אָנאַליזע

"הַדְּבֹק"



მომქმადი პირნი:

რებ სანდარი: ბერენიცი მდიდარი

ლეა: მისი ქალიშვილი

შრიდა: ლეას გამზრდელი

გიტალი: } ლეას დობილები
 ბათია: }

მენაშე: ლეას საქმრო

ნახმანი: მამა მისი

რები მანდელი: მენაშეს რაბი.

რები ყაზრიელი: მიროპოლის უხუცესი ცადიკი.

მიხელი: მისი გაბაი-მნე.

რები შიფონი: მიროპოლის რაბინი.

მსაჯული პირველი

მსაჯული მეორე

მეშუღახი: ებრაელი სტუმარი - მოვლინებული.

მირი: ბერენიცის სინაგოგის შამაში.

პირველი ბატანი

მორა ბატანი

მესამე ბატანი

ხანანი:	}	იეშიზის ახალგაზრდები
კენახი:		
აშარი:		

პირველი ხასილი

მორა ხასილი

მესამე ხასილი

მოხუცი ძალი:	}	ღარიბნი
სტუმარი:		
კუზიანი:		
ოგბონიანი კოჭლი:		

კოჭლი ძალი:	}	ლატაკი მოხუცი ქალები
ხაღბაძვავებული ძალი:		
ელამი:		

ჭანძალაღი ჭლადიანი ძალი: } ღარიბი ქაღები
 გავშვიანი ძალი: } ძუძუმწოვარა გავშვიდ

ხასიღიგეგი, იაშიგის ახალგაზღეგი,
 სახლის მისვიეური: უფალნი, განმკიდხავნი
 ნეშინათა და კატარძლიანთა წვეულნი გავშვიგი
 კაბცანეგი: უპოვარნი

პირველი და მეორე მოქმედება: გერენიშვი.

მესამე და მეოთხე მოქმედება: მირუკოლში, რაბი
 ყაზრეღის ბინაზე.

პირველსა და მესამე მოქმედებას შორის:
 სამი დღე.

მეორე და მესამე მოქმედებას შორის:
 ორი დღე.

მესამე და მეოთხე მოქმედებას შორის:
 ნახევარი დღე.

მოდებება კირველი

ფარდის გახსნის წინ, უკუნედში, ისმის ყრუ,
მისტერიული გალობა:

რატომ და რისთვის
ილტვის სული
ზესკნელიდან
ქვესკნელისაკენ?
ან ქვესკნელიდან
ზეცისაკენ რად ილტვის იგი?
ქვესკნელი ხომ ამალლების გზა არის მისი.
ქვესკნელი ხომ ამალლების გზა არის მისი.

შარლა ნელინელ იხსნება:

ხისგან ნაგები სინაგოგა. კედლების საერთო ხე-
დი - შავი, უკირო და გაუღესავი. ჭერიდან ეშვებ-
ბა და კედელზე მიმაგრებულია თიბრის შანდლე-
ბი. აღმოსავლეთით: წმიდა-კილოზანი - ძველი
ხის, ჩუქურთმებიანი. მის მახლობლად "ყამული" -
საწიგნე წარწერით "შივითი" და მასზე დგას ძვე-
ლი შანდლები. ერთ-ერთ შანდალზე ანთია სულის მო-
სახსენებელი ცვლის სანთელი. მარცხენა კედლის
ბოლოს ქუჩაში გასასვლელი კარია. აქვეა ხელსა-
ბანი რგოლზე დაკიდებული პირსახოცით. ოდნავ და-
შორებით - კედლის ლუმელი, იქვე მერხზე წევს

ებრაელი სტუმარი, რომელსაც თავით ტომარა უდევს. მერხთან ხის შეუღებავი გრძელი მაგიდაა, ზედ წიგნებია და გრაფინი ცხიმის სანთლით დაცობილი. მაგიდის ირგვლივ მერხებზე დამწუხრებული და დანალვლიანებული სამი ბატლანი ზის /პირველი, მეორე და მესამე/. ერთი მათგანი მაგიდას მიყრდნობია, დანარჩენი ორი - ოღნავ გვერდზე წამოწოლილან. მაგიდის იქით, მოპირდაპირე კედლამდე წიგნებით სავსე კარადაა. იქვე მოპირდაპირე კედელს მიყრდნობილი დგას ხანანი, ღრმა ფიქრებში გართული და მარჯვენა ხელით კარადის ლინგს მიყრდნობილი. სინაგოგის შუაში - ბიმის საკურთხეველი მაგიდაა, მის ღია კართან დგას წელმოხრილი მეორე და ტალეუბსა და თეფილინებს თავდავიანთ ქისებში ალაგებს. მარჯვენა კედელთან, ბიმას პირას, სენაკის პატარა კარია. იმავე კედლის მთელ სიგრძეზე - საქალეზო ოთახის სარკმელთა წყება, გრძელი მერხი და მასთან ხის მაგიდა, რომელზეც წიგნები ყრია. მაგიდას უზის იეშიბის 5-6 ახალგაზრდა, მათ შორის აშერი, ისინი "გემარა" - შითავისა და ტანის რხევით ჩუმად ჭირნახულობენ. მათგან დაშორებით, წმიდა კიდობნის ახლოს საწიგნესთანაა ჰენახი. იგი წიგნებიაა გართული. სინაგოგაში მრუმეები და ჩრდილებია, რომელთა წიაღშიც მწუხარებისა და ზმანებათა სიო დაჰქრის.

ბატლანი პირველი, მეორე, მესამე: /ერთად გალობენ სუსტი, მიმქრალი ხმით/.

რატომ და რისთვის
 იღბვის სული
 ზესკნელიდან
 ქვესკნელისაკენ?
 ან ქვესკნელიდან
 ზეცისაკენ რად იღბვის იგი?
 ქვესკნელი ხომ ამალლების გზა არის მისი.
 ქვესკნელი ხომ ამალლების გზა არის მისი.

/ხანგრძლივი პაუზა. ყველანი გარინდებული. სხე-
 დან/.

ბატლანი პირველი: /გულდინჯად, თითქოს ამბავს
 ჰყვებოთ/. რაბი დოდელ ბატლანას, კურთხეულ იყოს
 ხსენება მისი, ოქროს სავარძელი ჰქონდა, რომელ-
 ზედაც გამოძერწილი იყო "ღვინო, მეფე ისრაელისა
 ცოცხალი და უკვდავია". /მოკლე პაუზა/.

ბატლანი მეორე: ნეტარი ისრაელ რუჟინელი, მისი
 მადლი გვფარავდეს ჩვენ, მეფეთა ადათ-წესების
 მიმდევარი ბრძანდებოდა. მის სუფრას დამკვრელთა
 დასი ართობდა: ამ დასში 24 სხვადასხვაგვარ
 საკრავზე უკრავდნენ. მის ეტლში ექვსი ბედაური
 წყვილ-წყვილად იყო შებმული და ის განცხრომიდ
 მოგზაურობდა ხოლმე.

ბატლანი მესამე: /აღფრთოვანებით/. რაბი შე მუელ
 კამინკელის შესახებ მოგვითხრობენ, რომ ოქროს
 ქოშებიდ დადიოდაო... ოქროს ქოშებიდ...

მიშულახი: /იღვიბებს, ლაპარაკობს დინჯად, თითქოს შორიდანო/. რაბი ზოსია ანეპოლელი ლარიბი და უპოვარი იყო, სამოწყალოდ დადიოდა კარდაკარ. მას წელზე თოკშემოჭერილი ფრატიჩინა ეცვა, მაგრამ მატლანელსა და რუჟინელზე ნაკლებ სასწაულებს არ ახდენდა.

ბატლანი მიწრა: /აღელვებით/. მომიტევეთ და თქვენი მონათხრობი საკითხის არსებით მხარეს არ შეესაბამება. ჩვენ ხომ იმ ცადიკიმების ქონების ქება-დიდება გამოგვივიდა?! რამდენი მდიდარია ქვეყანაზე, რომ არ ლაპარაკობს, თუ არა თავის სიღიადებზე. ჭკუათმყოფელი ხომ უნდა მიხვდეს, რომ ოქროს სავარბელიც, რომ საკრავებიც, ბედაურებიც და ოქროს ქოშებიც არის ის, რომლებშიდაც დიდი საიდუმლოებაა და მარხული, მიუწვდომელი არსი.

ბატლანი მისამი: ბევადაი, უთუოდ!

ბატლანი პირველი: ვინც თვალხილულია, იგი დანახავს კიდევ... რაბი მაფტა, მაღლი მისი გვფარვიდეს ჩვენ, ოდეს გზაზე მიმავალ რუჟინელს პირველად შეეყარა, მისი ეტლის თვლებს დაუვარდა და ეამბორა, და ყოველივე ამის მხილველნი აკი განცვიფრდნენ, ამიტომ შეჰკვივლა და თქვა: "ნუ-თუ ბრიყვებო სულაც ვერ ამჩნევთ, რომ ეს ზეცის ეტლთაგანიაო".

ბატლანი მესამე: /აღტყინებით/ ჰაი, ჰაი, ჰაი.

ბატლანი მეორე: საიდუმლოების არსი სწორედ აქ არის, რომ ეტლი-ეტლი არაა, საკრავი - საკრავი არაა, რომ ცხენებიც - ცხენები არ არიან, არამედ ყველა ისინი მხოლოდ მათი დიდების სამოსელში არიან, ნივთები საუნჯის ბრწყინვალებისა...

მეშუალხი: ზეციური დიდება სამოსელში არაა გახვეული.

ბატლანი პირველი: /გულწრფელად/ მცდარი აზრია, პირიქით, ზეციური დიდება სამოსელშია გახვეული.

ბატლანი მესამე: მათ სიდიადეს ვინ გაზომავს? ვინ გაზომავს? განა, განა შესაძლებელია უბრალო გონებით ამის მიწვდომა?

ბატლანი პირველი: განა მათი დიდება ასეთი მარტივია? განა არ მოგისმენიათ ამბავი რაბი შმილკა ნიკელ-ბურგელისა და მისი თასმის შესახებ? ღირს მოსმენად: ამბავი რაბ შმილკასი, რომლის წინაშე სიმართლის საბებნელად წარსდგა ორი: ერთი ლარიბი და მეორე შეძლებული დარბაისელი, დიდი ქალაქის მბრძანებელი, მეფის კარს მიახლოებული. დამნაშავე მდიდარი გამოდგა. აღივსო წყრომით და მორთო ყვირილი, რომ დამნაშავე არა ვარო. რაბი შმილკა მშვიდად ეუბნება: "დამნაშავე ხარ, დამნაშავე, რაბის სამართლის განაჩენი

უნდა მიიღო". აპილპილდა მიბრძანებელი და უფრო მეტად აღიმალა ხმა და მორთო ყვირილი:
 "შენც მიბუღარ და შენი რაბინებიცო". წარსდგა რაბ შმილკა წელგამართული და უბრძანა: "ახლავ მიიღე თავზე განაჩენი, წინააღმდეგ შემთხვევაში დასმას მივმართავო". აქ კი წარჩინებულმა იწყო ლანძღვა-გინება. აღსდგა რაბ შმილკა, გაშალა ხელი, თავისი მაგიდის პატარა უჯრა გამოაღო და იქიდან მეყვსეულად გამოძვრა კლაკნია გველი - პირველყოფილი გველი და წარჩინებულის ქედს გარს-შემოეხვია... ამის შემდეგ რაც მოხდებოდა ფართონ წარმოიდგინეთ... წარჩინებულმა იკვირა "მიხსენ რაბი, მომიტევე, პატიებას ვითხოვ, დაჯერებით დაგიჯერებ, შესასრულებელს შევასრულებ, როგორც მიბრძანებ, ოღონდ ეს გველი მომაშორეო". რაბ შმილკამ შეიწყნარა იგი და უთხრა: "აწ უბრძანე შენს შვილსა და შვილიშვილებს, რომ შენს შემდგომაც ისმინონ რაბის სიტყვა. რათა არ იხმოს მან დასმაო".

ბატლანი მესამე: ჰა-ჰა, მშვენიერია დასმა იგი... მათ ბლიერებას არ აქვს საზღვარი. /პაუზა/.

ბატლანი მეორე: /ბატლან პირველს/ არა მგონია რებ ვოლფ, რომ ეს ამბავი პირველყოფილ გველს ეხებოდეს. მე მგონი აქ რაღაც გაუგებრობაა.

ბატლანი მესამე: /გაკვირვებით/ რისთვის? რატომაც არა?

გატლანი მიწრე: განა ჭკუათმყოფელ კაცს შეიძლება აზრად მოუვიდეს ის, რომ რაბი შმილკა ნიკელსბურგელი საქმეს დაიჭერდა პირველყოფილ გველთან? ღმერთო აშორე. პირველყოფილი გველი რა არის იგი, თუ არა თვით "სემახ-მემი" - სატანა". უფალო შეგვიწყალებ. /გადააფურთხებს/.

გატლანი პირველი: /წყრომით/. მერე რა არის აქ დაუჯერებელი. მოგვითხრობენ ამბავს რაც მომხდარა, რამდენი ადამიანია, რომელსაც საკუთარი თვალთ უნახავს. შენ კი მოდიხარ და ამბობ: შეუძლებელიაო. მე გეუბნები, რომ კაბალის მეოხებით ყოველი ამბავი დასაშვებია. აი, თუნდაც ჩვენს ქალაქში იყო ერთი სახელოვანი კაცი, საოცარი სასწაულმოქმედი, რომელიც ჯერ პირველად ერთი სახელით სახლს ცეცხლს უკიდებდა, ხოლო მეორე სახელის წყალობით უბრუნდებოდა და მყისვე ჩააქრობდა. იგი აქ იჯდა და ათასი ადლის იქით მომხდარ ამბავს დაინახავდა, სასმელს კედლიდან გააჩენდა, ხედავს და თვითონ არ ჩანს, - ამ ამბებით მან თვალეზი ამიხილა. ამბობდა, კაბალის მეოხებით შესაძლოა გოლემის გაჩენაო, მკვდრეთით აღდგომა, ქაჯებისა და ავი სულების გამოწვევა, უფალო შეგვიწყალებ, და თითქმის თვით "სემახ-მემი - სატანასიც" კიო. /გადააფურთხებს/. რა თქმა უნდა, ეს არ არის უბრალო ამბებიდან, მაგრამ ამ საქმეში განსწავლული კაცი ყოველთვის შესძლებსო. მე თვითონ გამიგონია მისი საკუთარი ნეტარი პირით ნათქვამი.

მეშუღახი: სატანის "სემახ-მემ"-ის გამოწვევა მარტოოდენ უწინარესი არსის ხელით არის შესაძლებელი, რომლის გავარვარებული ცეცხლის ძალით მთების ღმერთი და მრავალი უფსკრული ერთად იმსხვრევა და შთაინთქმის.

ბატლანი მესამე: განა სახიფათო არ არის მისი ხილვა?

მეშუღახი: /ჩაფიქრებით/ სახიფათოა? სრულიადაც არა... მაგრამ, არის მწყურვალე არსი, რომ ამ ბურჯდულის აღთან ჭურჭელი იგი დაიმსხვრევა.

ბატლანი პირველი: სასწაულმოქმედნა თავად მთხრა, რომ მან უწინარესი არსის საიღუმლო იცის.

ხანანი: /მეშუღახის ყოველ სიტყვას გულისხმიერებით ისმენს, კედელს სცილდება, მაგიდას ერთ ნაბიჯით უახლოვდება და დაფიქრებული ხმით/ სად არის იგი?

მეშუღახი: /აკვირდება ხანანს/ ვინ?

ხანანი: /მეშუღახს თვალს ჰკიდებს, შემდეგ კი ბატლან პირველს/ სასწაულმოქმედი!

ბატლანი პირველი: სად არის? ჩვენს ქალაქში, თუ კვლავაც ცოცხალია.

ხანანი: შორს არის აქედან?

ბატლანი პირველი: ქალქი? ძალან შორს არის. პოლონეთის მიყრუებულ ქალქთაგანია.

ხანანი: რამდენი დღის სავალა?

ბატლანი პირველი: რამდენი დღის სავალა? ასე, ორი თვის. რისთვის კითხულობ ამას? იქნება იქ წასვლას აპირებ? /ხანანი სდუმს/. ქალქს კრასნი ჰქვია. კაცის სახელი კი - რაბი ელხანანი.

ხანანი: ელხანანი? /თავისთვის/. ელხანანი... ესე იგი, მასთან ხანანთან... ჰმ!

ბატლანი პირველი: ღირს კი მისი ნახვა? /ბატლანებს/ საქმენი მისი საშიში სასწაულებია. ერთხელ მან კაბალის მეოხებით იმოქმედა...

ბატლანი მეორე: ლამით ასეთ ამბებზე არ საუბრობენ, და მით უმეტეს სინაგოგაში.

ბატლანი მეორე: კაბალის სასწაულებზე დუმილი სჯობს, რადგან ლაპარაკს ცდუნებადღე მივყავართ, უფალო განმარინენ ჩვენ. მაგალითად, თუ შეცდომით იტყვი ვისიმე სახელს, თუნდაც ჩქამით, მყის შენს სიცოცხლეს განსაცდელში ჩააგდებ. მსგავსი შემთხვევები ძველთაგანვე ცნობილია. /ხანანი ნელ-ნელა გადის სინაგოგიდან/.

მეშუღახი: /თვალს გააყოლებს/ რა უცნაური ყმაწვილია, ვინ არის იგი?

ბატლანი პირველი: იეშობის მოსწავლეთაგანია, ბვირფასი საუნჯეა.

ბატლანი მეორე: ნამდვილი მისანია! გემარის ხუთასი თაბახი ზეპირად იცის.

მეშუღახი: სადაურია?

ბატლანი მეორე: ვინ იცის სადაურია, ვის შეუძლია იცოდეს?

მეორე: /მიდის მაგიდასთან/ ლიტვის რომელიღაც კუთხიდან არის მოსული. თავდაპირველად აქ იეშობაში სწავლობდა, დღედაღამ გემარაში ჭირნახულობდა. ღირსეული მოსწავლეა ყრმათა შორის, თითოეული საჩვენებელია. უცბად გადაიკარგა. ამბობენ, ტყვეობა აქვს მისჯილით დიდი ხანი არ არის, რაც კვლავ უკან დაბრუნდა. სულ გამოიცვალა. ოღინიადაგ აჩრდილივით დაიარება, შაბათიდან-შაბათამდე "ფესუკოთებს" იმეორებს, მიკვეში ზედიზედ რამდენიმე საათს რჩება. ყმაწვილკაცები ლაპარაკობენ, კაბალაში ჭირნახულობსო.

ბატლანი მეორე: /ჩურჩულით/ ქალაქმა ეს უკვე შეიტყო. მასთან ავგაროზის სათხოვნელად მოდიან, მაგრამ როდი აძლევს.

ბატლანი მესამე: ვინ იცის, ვინ არის იგი? ეგე-
ბის დიდებულთაგანია? განა შეგვიძლია ამის ცოდ-
ნა? თვალყურის დევნებაც სახიფათოა.

/პაუზა/

ბატლანი პირველი: /ამოქნარებს/ ძილის დროა.

ბატლანი მეორე: /ღიმილით/ ვინ მოგვეგვრის აქ
სახელგანთქმულს, რომ მან კედლიდან ღვინო გაგ-
ვიჩინოს! ახლა პატარა სასმისი სულს მომიბ-
რუნებდა. მთელი დღეა ზეთისხილის ოდენაც რა არ-
ის ჩემს პირს არა უგემია—რა.

ბატლანი მესამე: მეც თათქმის მთელი დღე პირღო-
მოდ გავატარე. თუმცა დღით "შეაქოლი" ბრინჯის
სანუკვარზე ვაკურთხე.

მეორე: მოთმინება იქონიეთ. ვგონებ, სულ მალე,
მშვენიერ სუფრას ველირსებით. სენდერი თავისი
ქალიშვილის სასიძოს სანახავად წავიდა. ბედნიერ
ყისმათიანი ამყოფოს და ქეიფი თუ სასმელები არ
მოგვაკლებს.

ბატლანი პირველი: მისი სუფრა დიდი ხანია მო-
მენატრა. სასიძოს საძებნელად აგერ უკვე სამჯერ
წავიდა და სამჯერვე იმედგაცრუებული დაბრუნდა.
ხან სასიძო არ მოუვიდა თვალში, ხან გვარაიშედ-
ლობა იუკადროსა და ხან ქონება იცოტავა. საკმაო-
ზე მეტისათვის დევნა, მაინცა და მაინც, არ

მინი: სენდერი საკმაოდ გამოცდილია. ღმერთმა ყველაფრით დააჯილდოვა: სიმდიდრით, სახელგანთქმულობით და პირმშვენიერი ქალიშვილით.

ბატლანი მესამე: /მხურვალედ/ ჰა! დიდად მიყვარს სენდერი. ნამდვილი ღვთის მსახურია! მირთპოლის ხასილთა შორის ნამდვილი ხასილი. მოწყალე გულის პატრონი!

ბატლანი მეორე: /გულცივად/. რა საჭიროა პირფერობა? გულმხურვალე ხასილია, მაგრამ... დედისერთა ქალიშვილის ასე გათხოვება არ ეკადრება...

ბატლანი მესამე: ვითომ რატომ? რას ნიშნავს ეგ შენი სიტყვები?

ბატლანი მეორე: წინათ ჩვენში დიდგვაროვანი, შეძლებული ალამიანი, რომელიც თავის ქალიშვილსათვის სასიძოს ეძებდა, ქონებისა და ღირსებისაკენ თვალს როდი იჭერდა, არამედ დიდ იეშიბაში მოვიდოდა, იეშიბის უფროსს საჩუქარს მოუტანდა და ეს კი მას სასიძოდ ახალგაზრდა რჩეულ სწავლულთაგან აურჩევდა. სენდერსაც შეეძლო სასიძოდ ერთ-ერთი იეშიბის ახალგაზრდათაგანი აეყვანა.

მეშუღახი: და შესაძლოა მას შორეულ ადგილებში ძებნა აღარ დასჭირებოდა. თავისი ქალიშვილისათვის ღირსეულ საქმროს ადგილობრივ ჩვენს იეშიბოთებშიც გამოიხატა.

ბატლანი პირველი: /განცვიფრებით/ საიდან მო-
გივილა შენ ეს ფიქრად? /მეორე ბატლანს თვალს
ჩაუკრავს/.

მეშუაღანი: ამას მე სხვათაშორის ვამბობ...

ბატლანი მეორე: /გაფაციცებით/ კმარა, კმარა,
ავი ენის გარეშე. რაკი არ აიყვანა -ჩანს: ბედმა
ასე ინება. /სინაგოგაში შემოვარდება მოხუცი
ქალი. რომელსაც ორი ბავშვი შემოჰყავს/.

მოხუცი ქალი: /ტირილით და მოთქმით/ ვაიმე, ვა-
გლახ მე, უფალო ქვეყნისა ვ, და გვიფარე ჩვენ /წმი-
და-კილოზანს მივარდება ხვეწნა-მულარით/. ვაი,
ბავშვებო, პატარებო, ჩემო გვრიტებო... გავალოთ
წმიდა-კილოზანი. ვემთხვიოთ წმიდა სეფერ-თორას.
არ დავიძრათ აქედან, ვიდრე დედათქვენს სრული
ჯანმრთელობა არ დაუბრუნდება /კრეტსაბმელს გას-
წევს, კილოზანს გახსნის, თავს მის უბეში ჩაჰ-
ყოფს და მოთქვამს/ ღმერთო აბრაამისაო, იცხაკი-
საო და იაკობისაო! მომხედე, თუ რა დიდობა სა-
სობა ჩემი, ისმინე ვედრება ჩემი. შეგვიწყალე
ამ პატარა გვრიტების გულისათვის. დედას ნუ მოს-
წყვეტ მათგან /ხმას აღიმალლებს/ წმიდა-თორე-
ბო წარსდექით ნეტარი ტახტის წინაშე, ჰეშმა-
რიტ მცველებად დაუდექით ჩემს სწეულ ქალს. ნე-
ტარნო მამებო და დედებო, გაეშურეთ და ითხოვეთ
შებრალეობა ჩვილი ნერგისა, რომ არ მოჰკვეთონ

იგი ბალიდან, ითხოვეთ შებრალება კრავისა, რომ არ მოინადირონ თავისი ჯოგიდან, ითხოვეთ შებრალება მტრედისა, რომ არ განაშორონ თავისი ბუდიდან /უფრო მწარე მოთქმით/. ცას გავარღვევ ჩემი კივილით, მთებ შევძრავ პირფესვიანად, ფეხს არ მოვიცვლი აღგილიდან, ვიღრე არ დამიბრუნებენ ჩემი თავის გვირგვინს, ჩემი თვალის სინათლეს, ჩემს მზეს. /ბავშვები ტირიან/.

მეირნი: /მიღის და ხელს ჰკიდებს/ ჩემო დაო, იქნებ ინებოთ, ფსალმუნის ვიკითხოთ ათეულთა შესრულებით.

მთხუცი ძალი: /ცილდება წმიდა-კილობანს/. ჰოიმე, ვაგლახ მე! დასხდნენ ფსალმუნის საკითხავად. გთხოვეთ შემიბრალოთ. ჩქარა ნუ დააყოვნებთ. ყოველი წუთი ძვირფასია. სიკვდილის ანგელოსი კარებშია. უკვე რამდენიმე ღლეა, რაც ჩემი ქალი სიკვდილს ებრძვის...

მეირნი: ათივეს ახლავე დავსვამ... მაგრამ... გაიმეტეთ რამე მათთვის, შეძლებისამებრ, ბატონები არიან, ლატაკნი.

მთხუცი ძალი: /ფულს მუდარით აძლევს/ აჰა, შენ ერთი ოქრო, მეტი არა მაქვს. მოლით, ბავშვებო, გავეშუროთ მიღრაშებისაკენ, დავალოთ სინაგოგის კარები... /გაღიან/.

მეშუღახი: /ბატლან მესამეს/. დილას ერთი დღე-ღაკაცი წმიდა-კილოზნის წინაშე ევედრებოდა თავისი ქალიშვილისათვის, რომ იგი დღე-ღღეში მყოფი მოლოგინებულიყო, ახლა კი მეორე დღედაკაცი სიკვდილის პირას მდგარ ქალიშვილისათვის ლცულობს.

ბატლანი მესამე: მერე-ღა რაო?

მეშუღახი: მომაკვდავის სული ილტვის შევიდეს იმ ბავშვის გვამში, რომელიც უნდა დაიბაღოს. ღა ყოველთვის, ოღეს ერთ-ერთი ქალი ჯერ კიდევ ცოცხალია, მის მეგობარ ქალს არ შეუძლია მოილოგინოს...

ბატლანი მესამე: მარღაც ბრმაა ყოველი აღამიანი. თვალბი აქვს, მაგრამ ოთხი აღლის იქით ვერაფერს ხეღავს.

მეირი: /მაგიღასთან მიღის/. ხეღავთ, კურთხეულ არს იგი "პირის გასასველებღად" გაგვიმასპინღლღა ერთი ოქროთი. წავიკითხოთ ფსალმუნი, შევსღავთ საღღღეგრბეღლო ღა კურთხეულ არს იგი, შებრღღღეღით ავღღღღემყოფ ქალს გაუღღღავნის სრულ ჯანმრთეღღღღას...

ბატლანი პირველი: წამოღღღით, სენაკში ვიკითხოთ /იეშიბის ახაღღღავრღღღებს/: ყმაწვიღღღებო რომელი თქვენგანიც ჩვენთან ერთად ფსალმუნს იკითხავს, ბრინჯის საღღღუკვარს მიიღღღებს.

/ზოგიერთი ახალგაზრდა სენაკში გადის. გადიან ბატლანებიცა და მიერიც. ცოტა ხნის შემდეგ მოისმის ფსალმუნის კითხვის ხმა: / "ნეტარ არს კაცი, რომელი არა მივიდა ზრახვასა უღვთსასა და გზასა ცოდვილთასა, არა დადგა, და საჯლომელსა უსჯულოთასა არა დაჯდა".../და ასე შემდეგ; მეშუალხი მარტო რჩება, ზის ჩუმად, უცქერის წმიდაკილობანს, შემდეგ კი ხანანს. შემოდის ხანანი/.

ხანანი: /მეტად დაქანცული, მძიმედ მოაბიჯებს, დგომაც არ ბალებს. დადის უაზროდ, საკუთარი გულსთქმით დაბაბული, ხედავს გახსნილ კილობანს. დგას და უკვირს/. კილობანი ღიაა? ვინ გახსნა ამ შუა-ღამისას? ნეტა ვისთვის გახსნეს? /მიღის და შიგ ჩაიხედავს/. სეფერ-თორები... დგანან, როგორც სულდგმულნი, ერთმანეთს გადახვეულნი, მშვიდად და უზრუნველად...მათში ჩაქსოვილია მთელი სამყაროს დედააზრი და ყველა საიდუმლოება, სამყაროს გაჩენის პირველი ექვსი დღიდან უკუნიით-უკუნისამდე.., ყოველი სახელის, ყოველი სიწმიდის, ყოველი სასწაულის... და ვინ გამოამზებურებს ყოველივე ამას? ვინ გამოამუღავნებს ამ იდუმალებას? /ითვლის/. ერთი,ორი,სამი... ცხრა-ცხრა სეფერ-თორა. როგორც მცირე სათვალავიანი კრებული "ჭეშმარიტი" - ს და დვითეულ სეფერ-თორაში "ხე სიცოცხლისა" ოთხი, მათი რიცხვი ლ"ვ /ლო/ ვნ... კვლავ ლ"ო... არ არის დღე, რომ ეს სათვალავი არ მომდიოდეს. და რას მოასწავლებს, ეს კი არ ვიცი.

მაგრამ ვგრძნობ, რომ მასში დიდი საიდუმლოებაა. "ლო-36-ში ორჯერ "ხაი" ორი სიცოცხლე იქნება, იგიც და ლეაც. და სახელი ლეა ხომ ამ რიცხვს, 36-ს იძლევა. სამჯერ ლ"ო-36 იქნება 108. ე. ი. ხანან. ლ"ვ - 36 ნიშნავს "ლო" - მას. ე.ი. მასთან. ვის? მაგრამ "ლეა" რა არის მისი განმარტება? /ლეღავს/. არა უფალო, ღვთის გულისათვის, უფალო განმარინენ. რაოდენ საშიშია ფიქრი მასზე და რაოდენ მიზიდავს იგი თავისკენ...

ჰენახი: /თავს ასწევს წიგნიდან და ხანანს აკვირდება/. ხანან! მეოცნებესავით დაღიხარ...

ხანანი: /გამოფხიზლება და ჰენახს შეამჩნევს. მიდის და მასთან ჯდება. ელაპარაკება თავის-თავს/. უამრავი განმარტებაა და სწორი გზა კი არ ჩანს. ქალაქის სახელია კრასნი. სასწაულმოქმედის სახელი კი - ელხანან.

ჰენახი: რას ამბობ?

ხანანი: ვინ? მე? არაფერს. ჩემთვის ვფიქრობდი.

ჰენახი: საკმაოზე მეტად გაგიტაცა კაბალამ. იმ დღიდან, რაც ჩამოსულხარ, შენს ხელთ წიგნი არ მინახავს.

ხანანი: /ბალონეს იკრებს ყურადღებისათვის/.
/ბალონეს იკრებს ყურადღებისათვის/.

ჩემს ხელთ წიგნი არ გინახავს?... წიგნი ჩემ ხელთაა... რომელი წიგნი?

ჰენრი: რომელი წიგნი? რა თქმა უნდა, გემარა, ფოსკიმი! რა შეკითხვაა?

ხანანი: გემარა, ფოსკიმი?... შენ ამბობ, რომ ჩემ ხელთ არ გინახავს.../მეოცნებებსავით/. გემარა - ცივი და მშრალია... ფოსკიმიც - ცივი და მშრალია.../პაუზა.გონებას იკრებს.დადის და ამ სიარულში ლაპარაკით გამოფხიზლდება/ დედამიწის ქვეშ კიდევ არის ქვეყანა, ქვესკნელი, იმ ქვეყნის მსგავსად, რომელიც დედამიწის ზევითაა. იქ უკიდვანო ზღვები და უღრმესი უფსკრულია, ურიცხვი ტევრები და საშიში უდაბნოები. ზღვების ზედაპირზე დიდი ხომალდები მიმოდიან და ვეება ტალღები ერთმანეთს ეხეთქებიან. უდაბნოებში ქარიშხალი და გრიგალი თარეშობს და ტევრთა წიაღში წუთისოფლის საშინელება სუფევს... მაგრამ ღმერთმა მას ერთი რამ მოაკლო: ლაჟვარდი ცის კამარა... მზე იქ არ ამოვა და ელვა-ქუხილიც იქ არ ინავარდებს... გემარაც ასეთია! დიდია იგი და საშინელი მეტის-მეტად, არც ბოლო აქვს და არც საზღვარი, მაგრამ ზეციური ცეცხლის ალით ადამიანს მაინც ვერ ალამალებს...კაბალა კი - ასეთი არ არის.იგი წარმოგზავნის ელვას და ზეცის ყველა ჭიშკარი შენ თვალწინ გამოჩნდება, სამყაროს ქვეყნები, რომელ-

თაც ბოლო არა აქვთ, რომლებიც გამოჩნდებიან მთელი თავიანთი ნათელ-ბრწყინვალებით და შენს სულს უსაზღვროდ მაღალ მიწვერვალებისაკენ წარიტაცებენ, ის უხილავი გზაა სიბრძნის ტაძრისკენ, ვიდრე "წალკოტს" მიაღწევდე მისი კრეტაბმელის მიღმა საჭვრეტად... /უკან დაიხევს/ ენას არ ძალუძს ამის თქმა... გულო, გულო...

ჰენახი: სწორია შენი სიტყვები, მაგრამ არ დაგავიწყდეს, რომ მიწვერვალსაკენ სწრაფ ასვლაში იმალება საშიშროება და მოსალოდნელია ანაზღაურული დაქანება ღრმა უფსკრულისაკენ... გემარა ადამიანს ნელ-ნელა ამალლებს, სართულებით, უზრუნველად და აუჩქარებლად. ამასთან იგი მას იცავს და მზარველობს, ერთგული მცველივით ფხიზლობს, ყოველი სიავისაგან იფარავს და ვით მშობელი დედა უბით ატარებს მას. გარშემო მას რკინის ჟინჟლილა აბჯარი არტყია და არ გაუშვებს, რომ სწორ გზას გადაუხვიოს მარჯვნივ გინდ მარცხნივ, როგორც კარის გუშაგი. კაბალა კი ასეთი არ არის. დიდია ამალლება, მაგრამ დიდია დაცემაც... გახსოვს რაც გისწავლია /გემარის კილოთი/ წალკოტში შებრძანდნენ ოთხნი: ბენ ყაზაია, ბენ ზომა, ახერი და რაბი ყაკიბა. ბენ ყაზარიამ შეხედა თუ არა, გარდაიცვალა, ბენ ზომამ შეხედა და დაიღუპა, ელიშაყ ბენ აბოა ასო-ასოდ დაიშალა. მხოლოდ რაბი ყაკიბა შებრძანდა უვნებლად და უვნებლადვე გამობრძანდა...

ხანანი: ნუ მაშინებ. ჩვენ არ ვიცით რა გზით წავიდნენ ისინი და წალკოტში რისთვის შებრძანდნენ. ეგების თავიანთ გზას ასცდნენ, რადგან იქ შებრძანდნენ მხოლოდ სახილველად და არა განწმენდისათვის? ჩვენ ხომ ვიცნობთ უკანასკნელ საუკუნეთა მრავალ ღირსეულს, როგორც იყვნენ ნეტარხსენებული არიზალი და ბაალ-შემ-ტობი, კურთხეულ არს სახელი მათი, რომლებიც შებრძანდნენ და არ დაღუპულან.

ჰენახი: და შენ გსურს მათ შეეღარო?

ხანანი: უფალო განმარინენ. მე ჩემი გზით წავალ.

ჰენახი: შენი გზა რომელია?

ხანანი: ვერ გაიგებს ჩემი გული.

ჰენახი: გასაგებია! ჩემშიც ძლიერია მისწრაფება მაღალი საფეხურებისაკენ.

ხანანი: /უცბად შემოტრიალდება/. ცადიკა მოქმედების დედააზრი სულის განწმენდაა, ცოდვების ბორკილთაგან მისი განთავისუფლება და ზენაარის სასუფეველში შესვლა. მიძიმე არის ბრძოლა, კართან ცოდვა წევს. სულის განწმენდა ერთია, მაგრამ აგერ მეორე სული მოეშურება, ახალი სული ახალი ცოდვებით. თაობის განწმენდა ერთია, მაგრამ აგ-

ერ მოდის ახალი მოდმა, ახალი ცოდვებით და ბრძოლაც ახლებია. თაობები ეშვებიან დაბლა და ცადიკიმები კი კნინდებიან და მილიან...

პენახი: და მერე აქ რა უნდა ვაკეთოთ შენი აზრით?

ხანანი: /ჩურჩულით და დაჯერებით/ ჩვენ ცოდვას კი არ უნდა ვებრძოლოთ, არამედ უნდა გავწმინდოთ იგი, როგორც ოქროს წმენდენ ხენჯისა და უვარგისობისაგან, ასევე საჭიროა განწმენდა ცოდვისა სიბილწისაგან, რათა არაფერი დარჩეს მასში, გარდა წმიდა ღვთაებრივი ნაპერწკალისა.

პენახი: /გაკვირვებული/. წმიდა-ღვთაებრივი ნაპერწკალი ცოდვაში? მიკვირს.

ხანანი: ყოველივე ღმერთის შექმნილია, ყველას ნეტარი ნაპერწკალი ასულდგმულებს. თვით ცოდვაც ღმერთმა შექმნა.

პენახი: რას ლპარაკობ. ცოდვა ქვეყნად სიტრა-ახრამ სატანამ მოავლინა.

ხანანი: და სიტრა-ახრა ვინ მოავლინა? ღმერთმა! მაშასადამე, თვით სატანა სიტრა-ახრაც და მის მოქმედებაშიც წმიდა-ღვთაებრივი ნაპერწკალი ყოფილა.

ჰენახი: /განრისხებით/. წმიდა-ღვთაების ნაპერ-
წყალი სიტრა-ახრაში?!

ხანანი: სემახ-მემი-სიტრა ახრაა. იგი, როგორც
ღვთაების მეორე მხარე, მარცხენა მხარეა, მათა-
სადამე, მასში წმიდა-ღვთაების ნაპერწყალიც ყო-
ფილა.

ჰენახი: /შეშინებული/. წელან მე შევცდი...მად-
როვე ჩავუფიქრლე ამ აზზავს... /სახეზე ხე-
ლებს აიფარებს, თავს ჩაღუნავს და გაშეშებული
ფიქრობს/.

ხანანი: /გამოფხიზლებული/. რომელია ძლიერი ცოდ-
ვათა შორის? რა ცოდვაა იგი, რომ ადამიანს მუდამ
აბაბუნებს? რომელ ცოდვასთან უფრო უჭირს ბრძოლა
ადამიანს? ჰავაი ამბობს ლტოლვა ქალისადმიო,
განა ასე არ არის?

ჰენახი: /თავი რომ ჩაუღუნავს/ ასეა...

ხანანი: /მღერის მთრთოლავი ხმით/. როდესაც იმ
ცოდვას განწმინდენ და ხალასად ქმნიან, რომ მას-
ში არაფერი დარჩეს გარდა ღვთაებრივი ნაპერწყ-
ლისა, ყოველი სიბილწე უმაღ დაიწურება და ზენაარ
სიწმინდედ გარდაიქცევა, "ქებათა-ქებად"...გეს-
მის შენ? "ქებათა-ქებად" /იცქირება მოელვარე
თვალბით. უნებურად იწყებს "ქებათა-ქების" მღე-

რას/. "რა მშვენიერი ხარ მეგობარო, რა მშვენიერი. შენი თვალები მტრედებია, შენი თავსაკრავის ქვეშ... შენი თმები ჰგავს იმ ვერძთა ჯოგს გილყადის მთიდან, რომ ჩამოეშვნენ, შენი კბილები ჰგავს გაკრეჭილ ფარას საბანაოდ რომ ამოვიდნენ, ყველა რომ ტყუპებს ბადებს და მათ შორის არ არის არც ერთი ბერწი". /მღერისას თვალს ლულავს. კარი ნელა იღება, სინაგოგაში შემოდის ლეა მოკრძალებით, ოღნავ შემკრთალი. ხელი ფრიდას ხელისათვის მოუკიდია. მათ უკან მოდის გიტალი. მათ შესახვედრად სენაკიდან გამოდის მეირი/.

მეირი: /ბაღზე გაკვირვებული/ შეხედეთ ერთი, რებ სენდერის ქალიშვილი? ლეა?

ლეა: /დარცხვენილი/ გახსოვთ, თქვენ ხომ დამპირდით, რომ უძველეს კრეტსაბმელებს მიჩვენებდით... /ხანანი შეწყვეტს თავის სიმღერას და ლეას მიაშტერდება. ამის შემდეგ იგი ან მალვით, ან ლურსა მზერით უცქერის ლეას, ან არა და თვალებდახუჭული უძრავად დგას/.

მეირი: /მეირს/ უჩვენე ყმაწვილ-ქალებს კრეტსაბმელები, უჩვენე. ჩემმა ლეამ სინაგოგას კრეტსაბმელი შეუთქვა. თავისი დედის სულის სახელზე. შეუკერავს ხასი-აბრეშუმის კრეტსაბმელს ოქსინოს ხალასი ოქროდან. ქერუბიმა გამოსახულებით, ლომთა და არწივთა სახეებით, ოქროს ქსოვილს, ძველებური კრეტსაბმელთა დარად. ააფარებენ კრეტსაბ-

გაიხარებს სამოთხეში. /ლეა მოკრძალებით ათვალიერებს გარემოს. შეხედავს ხანანს და თვალებს დახრის, უკან დაიხევს და აღგიღზე გაშეშლება თავჩალუნული, თვალბდახრილი და გონებადაფანტული/.

მეირი: მზადა ვარ! ახლავე, ამ წუთში, ყველა კრეტსაბმელს თქვენ თვალწინ გადმოვაღაგებ, ყველაზე ძვირფასთ, ყველაზე უძველესთ და მშვენიერზე-მშვენიერთ /მიდის კიდობანთან და იქიდან სათითაოდ გადმოაღაგებს კრეტსაბმელებს/.

გიტალი: /ლევს ხელს ჰკიდებს/. ჩემო ლეა, არ გეშინია, ღამე რომ ხარ სინაგოგაში?

ლეა: სინაგოგაში ღამით არასოდეს ვყოფილვარ, "სიმხა-თორის" ღამის გარდა. რა მძიმე სანახავია ამ დროს ეს აღგიღი, რა დაღვრემილია!

მერიდა: შვილებო, ასეთი სანახავია სინაგოგა ქვეყნის დასაბამიდან. შუალამით აქ მიცვალებულნი მოვლენ სალოცავად, აქ ტოვებენ თავიანთ გლოვასა და მწუხარებას.

გიტალი: ბებია-ჩემო, მიცვალებულებზე ნუ ლაპარაკობ, მეშინია.

მერიდა: /არ უსმენს/ და განთიადისას, ოდეს ჰაკადოშ ბარუბ ჰუ მოსთქვამს თავისი წმიდა-ტაძრის გაოხრებაზე, თვალთაგან მას ცრემლი ცვივა და

იცრემლებიან ძველი სინაგოგის კედლებიც... ამიტომაა კედლების შელესვა აკრძალული. კედლების შესაღესად მოდიან ხოლმე, ხოლო განრისხებული კედლები მათ ქვებს უკუ-უშეხენ...

ლმ: რა ძველთა-ძველი ჩანს ეს სინაგოგა. გარედან არც იმდენად ემჩნევა.

მრიღ: მართლაც დიდი ხნისა და ძველთა-ძველი სინაგოგაა. არავის ახსოვს, - არავინ იცის, როდის აუშენებიათ. ამბობენ, რომ იგი მიწაშივე აშენებული უპოვნიათ... რამდენმა ცეცხლმა და ხანძარმა გადაბუგა ქალაქი, რამდენი სახლი გადაიწვა და ნაცარ-ტუტად იქცა, მაგრამ სალოცავი მუდამ უვნებელი რჩებოდა. მხოლოდ ერთხელ მოედვა ცეცხლი მის სახურავს და მაშინვე გუნდ-გუნდად მოფრინდნენ მტრედები და იფრიალეს, იფარფატეს, სანამ ცეცხლი არ ჩააქრეს.

ლმ: /თითქოს არ უსმენსო, თავისთვის/. რა სევდიანია, რა სამწუხარო სანახავია და რა წარმტაცია!.. ძლიერ მიმიძიძის განშორება, მინდა მივიდე ამ ძველი სინაგოგის წმიდა კედლებთან, მივეკონო, ვეამბოროო და შევეკითხო: რა მოგდის წმიდა ტაძარო, ამრიგად რომ შეცმუხვნილხარ? რად ხარ აგრე გაპარტახებული და დაღვრემილი? რად გარინდებულხარ და დამუნჯებულხარ?.. მსურს, მაგრამ არ ვიცი, რა მსურს, თუ, გულო, გული მისთვის ძგერს და სული მას ეტრფის...

მეიერი: /მაქვს კრეტსაბმელები და სათითაოდ გადაშლის ბიმაზე/ აგერ უძველესი...ორასი წლისაა. ამას მხოლოდ ფესახის დღეებში ჰკიდებენ კიდობანზე.

ბიტალი: /განცვიფრებული/. რა მშვენიერია! ერთი შეხედე, შეხედე ჩემო ლეა! კვიპაროსის ორი ხე რუხი ხავერდის ზედაპირზე, ოქროს ხშირი რტობით მოქარგული და, ხეებზე ორი მტრელი. მათ ქვეშ ორ ღომს ხელთ უპყრიათ დავიდის ფარი. ჩვენს დროში შეუძლებელია ამგვარი ოქროსი და ხავერდის შოვნა.

ლმა: რა ნაზი, რა მშვენიერი კრეტსაბმელია, თანაც რა მგლოვიარე /კრეტსაბმელს ალერსივ ხელს უსვამს და ჰკოცნის/.

ბიტალი: /დაინახავს ხანანს და ლეას ხელს მოჰკიდებს/. ჩემო ლეა, ერთი შეხედე, აი იმ ახალგაზრდას. დგას და გვიცქერის, ო, რა უცნაურად გიყურებს.

ლმა: /თვალშეუვლებლივ/ იეშიბის მოსწავლე თანია. ხანანი ჰქვია. ჩვენსას ხშირად შემოგვსწრებია სუფრაზე. შემდეგ, შემდეგ გადაიკარგა და დიდი ხანია არ გამოჩენილა.

ბიტალი: როგორ უბრწყინავს თვალები შენ რომ გიყურებს...

ლუა: ასეთი თვისება აქვს... თვალები მუდამ უბრწყინავს და როცა მელაპარაკება, გული ეკუმ-შება. გული მეც მეკუმშება ხოლმე... მართლა, ჩვენ ხომ არ შეგვფერის ერთმანეთში უცხო ახალ-გაზრდა ვაჟისა და ქალიშვილის შესახებ ვილაპარაკოდ.

ბიჭალი: ისევ შენ შემოგცქერის და თითქოს თვალებით გეძახის, ეგების უნდა მოგვიახლოვდეს, მაგრამ რცხვენია?

ლუა: მინდა გავიგო,რა დაემართა, სახე რომ ასე გაპფიფრებია? ავად ხომ არაა?

ფრილს: /მეირს/. მეირ-კე, ხომ მოგვცემ ნებას თორას ვეამბოროთ? ღვთის სახლში მოვიდეთ და ისე გავბრუნდეთ,რომ მის წმიდა თორას არ ვეამბოროთ?

მეირი: პირიქით, /მიღის წმიდა-კილობანთან.გა-ტალი ეწევა ფრილას, მათ მოსდევს ლუა. მეირი ხსნის კილობანს, მოწიწებით გამოაბრძანებს სე-ფერ-თორას და საკოცნელად გაუწოდებს/.

ლუა: /ხანანისაკენ გავლისას დაყოვნდება, თვალს შეავლებს და მყისვე დახრის. მთრთოლვარე და ყრუ ხმით/. მშვიდობა შენდა,ხანან... ისევ აქა ხარ?.

ხანანი: /პატივისცემით/ დიად... /თავს უკრავს/.

მონია: ჩემო ლეა, მოდი აკოცე წმიდა თორას. /ლეა თრთოლვით ეხვევა თორას და ძლიერი ალტყინებით კოცნის მას. ფრიდა დაყვავებით/რა ცადიკი მყავს! /მზრუნველობით/. ბევრი მოგივიდა, შვილო, ბევრად. გადაჭარბებული კოცნა თორისა არ შეიძლება. იგი ცეცხლიდანაა. შავი ცეცხლით დაწერილი თეთრი ცეცხლის ალზე... /ლეა უნებურად შორდება თორას. ფრიდა დიდი მზრუნველობით - უეცრად / იჩქარეთ შვილებო, შინისაკენ. უპ-ე, რამდენ ხანს გავჩერებულვართ! გავეშუროთ შინისაკენ. /აჩქარებით გადიან. მეირი კრეტსაბმელებს ალაგებს, დახურავს კილობანს და სენაკში ბრუნდება/.

ხანანი: /ღვას უძრავად, თვალები დაუხუჭავს და ფიქრობს. ძალზე ყრულ იწყებს "ქებათა-ქების" მღერას იმ ადგილიდან, სადაც შეწყვიტა/ "შენი ტურები წითელი ძაფია, შენი სიტყვები - საამო, შენი საფეთქელი ბროწეულის ნაჭერია შენი დალალების ქვეშ".

ჰენახი: /თავს აწევს და უსმენს/ რას მღერო ? /ხანანი გარუმდება, თვალებს გაახელს, თვალწინ კი ვერაფერს ხედავს. ჰენახი უცქერის/. ტურები სველი გაქვს, კიდეც გიბანია...

ხანანი: /უნებურად/. დიალ.

ჰენახი: განზანვის დროს გულისხმისყოფა და განმარტობა? "რაზიელის წიგნის" მიხედვით, არა?

ხანანი: დიალ.

ჰენახი: მერე არ გეშინია?

ხანანი: არა.

ჰენახი: "ფესუკოთებში" ჭირნახულობ-კი შაბათი-დან-შაბათამდე? მერე-და არ გიძნელება?

ხანანი: წარუჟკან ღლებში მარხულობის შემდეგ მიძნელება შაბათ ღლეს ჭამა. მადა სულ დაკარგული მაქვს ხოლმე.

ჰენახი: რაში გჭირდება ესენი? რა გინდა ჰქნა მაგიდ?

ხანანი: /მცირე პაუზის შემდეგ, თითქოს თავის-თავს ელაპარაკება/. მსურს მოვიპოვო ძვირფასი თვალი, სანთელივით ღბილი, რომ განვბანო სპეტაკ ცრემლში და გავწმინდო ჩემ სულში... მსურს გადმოვიფრქვიო მესამე სფეროთს, განსხივოსნებული სფეროთს ზრქელი, უხვი, ნათელი მესამე ტაძრი-დან! /სდუმს სიმძაფრისაგან დამწუხრებული, უცბად ერკვევა/. მართლა, კიდეც იცო რა: /ჩურჩულით, თითქოს საიღუმლოს ამზობდეს/ მე კვლავ მსურს მოვიპოვო დრაჰკანებით სავსე ორი ლიტრა... ერთი ძე კაცისათვის, რომელიც შეიძლება მოაჯადოვო მხოლოდ დრაჰკანებით, მხოლოდ ოქროთი...

პენახი: განა ასეთი რამ გინდა? /თავს უქნევს/.
ფრთხილად... ხანან, შენს სურვილს ვერ მიაღწევ
ჭეშმარიტი გზით...

ხანანი: თუ ჭეშმარიტი გზით არა?

პენახი: /შეკრთება/. მეშინია შენთან რომ ვზი-
ვარ. /ღგება და მიღის თავისთვის. სენაკიდან
გამოღიან მეირი და ბატლანი პირველი/.

ბატლანი პირველი: თვრამეტი გალობა უკვე დავამ-
თავრეთ და არ კმარა? ერთი ოქროს გულისათვის
მთელი ფსალმუნი დავამთავროთ? პირდაპირ მიკვირს;

მეირი: რა თქმა უნდა! მაგრამ რა ვაკეთო, ღირს
კი მის სახელზე ფსალმუნის კითხვა...
/შემოდის აშერი/.

აშერი: /აჩქარებული/. ბარუხ ხაიატი შემხვდა
ქუჩაში. კლიმოვიკიდან ჩამოსულა, იქიდან, სადაც
სენდერი თავის ქალიშვილისათვის სასიძოს სანა-
ხავად გაემგზავრა და მიიხრა, საქმე სარჩოს გამო
ჩაიშალა... სენდერი მოითხოვდა, რომ სიძეს მო-
მავალი ოჯახისათვის ათი წლის სარჩო ცალკე გა-
დაედო, მაგრამ ის არ დათანხმდა ხუთი წლის მეტ-
ზე, ასე, რომ მთელი საქმე ჩაიშალა.

მეირი: /გამწარებით/. ეს უკვე მეოთხეჯერ ხდე-
ბა.

ბატლანი მესამე: მეწყინა, გული დამწყდა.

მეშულახი: ჩაიშალა -მერე რა, თუ ჩაიშალა, მერე რა? ჩანს, ბედს არ უნდოდა. განა შენ არ იყავ, ასე რომ ლაპარაკობდი?

ხანანი: /წამოხტება სიხარულისაგან წელგამართული/ კვლავ მე გავიმარჯვე! /ღონემიხდილი ეშვება მერხზე, უძრავად ზის და ფიქრობს. სახე გამარჯვების სიხარულით უბრწყინავს. სენაკიდან გამოდიან ბატლანი მეორე და იეშიბის ახალგაზრდები/.

ბატლანები: /ერთმანეთს/ კარგ ბედზე, კარგ ბედზე იყავნ სურვილი, რომ წარუგზავნოს ნეტარმან. კურთხეულს არს იგი, სრული ჯანმრთელობა ავადმყოფ ქალს /ნები-ნებს დაჰკრეს ერთმანეთისას/.

მეშულახი: /მეირს/ დროა გზას გავუღგე.

მეირი: რა გეჩქარებათ.

მეშულახი: მე ხომ მეშულახი ვარ. ჩემი საშუალებით დიდებულები ერთმანეთს უგზავნიან სხვადასხვა ამბავს და ძვირფას ნივთებს, მე კი ვალდებული ვარ მკვირცხლი ვიყო დავალების შესრულებაში.

მეირი: სად უნდა წახვიდე ამ ღამეში? მეტად უკუნი ღამეა. გზას აცდები.

მეშუღახი: ხელთა მაქვს სანათი და იგი გამიყვანს სამშვიდობოს.

მეირი: გირჩევდ დილამდე აქ დარჩე... .

მეშუღახი: დილა ჯერ კიდევ შორსაა. დიდი გზა მაქვს გასავლელი. წასვლა მიჯობს შუალამისას. /წამოიკიდებს ტომარას/.

ბატლანი მესამე: ახლა კი დავკბილოთ, რაცა გვაქვს. მეირ, რად აგვიანებ?

მეირი: ყველაფერი მზადაა. არაყიც არის და შესატანებელიც. /უბიდან ამოიღებს კულას და ურვენებს/ მოდი, დერეფანში გავიდეთ... /კარი გაიღება, სინაგოგაში შემოვლენ გაშლილად სენდერი და მისი თანამოსაგრე ებრაელები/.

სენდერი: /ჩერდება კარებში. სიხარულით ადვალერებს გარემოს, მაღალი ხმით, დარბაისლურად /. გზიდან სინაგოგისკენ შემოვუხვიე და ვთქვი, მოდი, შევალ, ვნახავ, რას აკეთებენ ჩვენი ღირსეული აღამიანები-მეთქი. მეგონა თორაში ჭირნახულობდით, თქვენ კი თურმე "ნადიმისათვის" ემზადებით. ნამდვილი ტარტაკოველი ხასილიმები ყოფილხართ ! ხა-ხა-ხა!

ყველანი: /დიდი სიხარულით ეგებებიან/. ბარუხ

ჰაბა! კეთილი იყოს თქვენი მობრძანება. რებ სენ-დერს! სწორედ დროზე მოსული სტუმარი ბრძანდებით!

ბატლანი მისამი: შეექცით ჩვენთან ერთად.

სანდერი: შე ნადირო! მე თვითონ გაგიმართავთ სუფრას. მაკურთხეთ "კეთილ ბელზე". დავნიშნე ჩემი დედის-ერთა ქალიშვილი, ბედნიერ საათზე და ყისმათზე. /ხანანი შეტორტმანდება და გაშტერებული უყურებს/.

ყველანი: კარგ ბელსა და ილბალზე!

სანდერი: /მეირის ხელში კულას შეამჩნევს/ რას ჰგავს ეს, აშერს! ახლავ გაიქცე ჩემთან შინ და ჩემი სახელით უთხარი სუფრა მამზადონ, უთხარი, რომ მალე ყველანი ვეახლებით, იჩქარე, არსად გაჩერდე! აბა, ირემივით მკვირცხლად!

ბატლანი პირველი: /მეირს/ ეს კულა შეინახე. მაგის დროც მოვა.

მეირი: /კულას შეინახავს. სენდერს/ დღეს შევიტყვეთ, რომ სასიძოსთან საბოლოოდ ვერ შეთანხმებულხართ და გვეგონა, ხელცარიელი დაბრუნდებოდით.

ბატლანი მისამი: ძლიერ შევწუხდით ამის გამო. ნამეტნავად.

სანდორი: საქმე, მართლაც, კინალამ ჩაიშალა სარჩოს გამო, მაგრამ ბოლოს სასიძო დაყაბულდა და ნიშნობის წიგნიც დავწერეთ.

ხანანი: /წელში იმართება, სახე გაფითრებული და შეწუხებული/ ნიშნობის წიგნი? ნიშნობის წიგნი? საიდან გამოჩნდა? მაშ, ყოველგვარი ცდა ამაოა? მერე განსპეცაკება?.. მარტვილობა?.. განზანცა და ლცვა გულისხმისყოფით? ყველაფერი ამაოა ყველაფერი... /შეტორტმანდება/. არა. ღვთის ხელი აქ არ ურევია... /ანაზდად თითქოს დიდმა აზრმა გაუელვაო, სიხარულით/ ახლა კი გავიგე უწინარესი არსის საიდუმლო! /დიდი სიხარულისაგან სუნთქვაშეკრული/. მე გავიმარჯვე!.. მე!.. /ძირს ეცემა/.

მეშულახი: /სანათს ტომარიდან ამოიღებს, თავისა და მას შორის/. სანთელი გაქრა. სხვა სანთელი უნდა ავანთო! /მძიმე პაუზა/.

სანდორი: /მიიხედ-მოიხედავს/. რა ბნელა აქ? მეირ-კე, აანთე სანთლები /მეირი აანთებს/.

მეშულახი: /ჩურჩულით სენდერს/. თქვენა ბრძანეთ, რომ სასიძო ბოლოს დაყაბულდაო?

სანდორი: /შეკრება, გაკვირვებული და შეშინებული/. დიალ...

გეგულახი: ხდება ხოლმე, რომ საქმრონი ჰპირდებოდნენ და დაპირებას არ ასრულებენ... და საქმე დავამდე მიდის... ასე რო ზოგჯერ ამის გამო თორის სამართალსაც მიმართავენ ხოლმე... მეტად: დიდი სიფრთხილვა საჭირო...

სენდორი: /წყრება. ჩურჩულით მეირს/. ვინ არის ეგ ისრაელი, ამ კაცს პირველად ვხედავ...

მეირი: აქაური არაა. გზაზე მდგარი სტუმარია, მეშულახი.

სენდორი: რა უნდა ჩემგან?

მეირი: არ ვიცი.

სენდორი: /მშვიდდება/. ვიდრე ჩემს სახლში სუფრას მოამზალებენ, აქვე მივუსხდე მაგიდას და ცოტა წავისაუბროთ /ყველა მაგიდას მოუჯდება/. ეგების ვინმე თქვენგანმა გვიამბოს ადმ"ორ რაბი ყაზრიელს დიდებაზე, დღეგრძელი იყოს, ეგებ ვინმემ მოგვითხროს სახელოვანი მისი ცხოვრება, ანდა უცნაური რამ ამბავი ან არაკი, ან არა და მოგვასმინოს სიტყვაკაზმულობა: მარჯანივით ძვირფასი და მოსწრებული.

გეგულახი: მისი სახელით მოგიყვებით ერთ არაკს: ერთხელ მასთან ერთი ბაღზე მდიდარი კაცი მივიდა.

რაზი ყაზრიელმა თვალი შეავლო თუ არა მოსულს, მყისვე იცნო, რომ ბუნწი უნდა ყოფილიყო. ხელი მოჰკიდა, სარკმელთან მიიყვანა და მოახსენა: "გაიხედე და მითხარ, რას ხედავ?" – "ადამიანებს" – უპასუხა დიდებულმა და ძლიერ გაუკვირდა რაზის შეკითხვა, "ადამიანებს ვხედავო". წაიყვანა რაზიმ და სარკის წინ დააყენა: "ახლა კი რაღას ხედავო?" შებლებულმა ჩაიხელა სარკეში და უპასუხა: "ჩემი თავის მეტს ვერაფერს ვხედავო." "საქმე ისაა, – ბრძანა რაზიმ – რომ აქაც შუშაა და იქაც შუშაა, მაგრამ სარკის შუშა შელესილია მცირედი ვერცხლისწყლით და ვინც მასში ჩაიხედავს, თავისთავის მეტს, ადამიანებს მეორეჯერ ველარ დაინახავსო".

სანდორი: /ჭკუაში არ დაუჯდება/ შენ აღბათ გინდა მე გადმომკრა, იქნებ ჩემი დახასიათება გწაღია?

მეშუღახი: ღმერთმა დამიფაროს.

ბატლანი ბეჩრაი: ყველას ისა სჯობს, ჰანგი რამ დავამღეროთ.

სანდორი: მართლაც რომ სჯობია.

ბატლანი მესამე:

უფალო ქვეყნისაგ, უფალო ქვეყნისაგ,
აჰა, ნესტვით გიმღერ შენ.

აჰა, ნესტვით გიმღერ შენ.

სად გპოვო და სად ვერ გპოვო შენ?

სადაც წავალ იქ დამხვდები შენ,

საითაც მივიხედავ ჩემ წინ ხარ შენ,

და არა არს რა სხვა საგანი, თუ არა შენ,

შენშია ყოველივე, ყოველივეშიც შენ,

შენ, მხოლოდ შენ, მარად შეხ, ძარტოლ

შენ, შენ, შენ.

ყოველი სიკეთე ხელთაა შენ.

ყოველი სიავეც ხელთაა შენ.

სიავე რას მაგნებს, უკეთუ ხელთაა შენ.

შენშია ყოველივე, ყოველივეშიც შენ,

შენ, მხოლოდ შენ, მარად შენ,

შენ, შენ, შენ, შენ.

აღმოსავლით—შენ, დასავლით—შენ.

სამხრით—შენ, ჩრდილით—შენ.

ზესკნელ—შენ, ქვესკნელ—შენ,

შენ, მხოლოდ შენ, მარად შენ,

შენ, შენ, შენ, შენ.

სენდერი: საუცხოვოა, ჩინებულა, თაიგულივით არ-
ის შემკული! ახლა ავდგეთ და ვიცეკვოთ! არა?
სენდერი თავის ერთადერთ ქალიშვილს ათხოვებს და
ისე ავიყაროთ არ ვიცეკვოთ? ამას ტარტაკოველი
ხასიდიმებიც არ იქმენ! სენდერი და მოხუცებულ-
ნი წრეში ჩადგებიან, ხელი-ხელ ჩაკიდებულნი,
გვერდზე თავდახრილნი, დვალებაპყრობილნი, ნელ-ნე-
ლა წრეს უვლიან, ამრიგად მღერიან ყრუ და ნალ-

ვლიან ჰნგს, სენდერი წყვეტს და წრიდან გამო-
დის/. ახლა-კი სიხარულის თამაში! ახალგაზრდებო!
/თავს იყრის რამდენიმე ახალგაზრდა/.

ბატლანი მიჟრე: დანარჩენი ახალგაზრდები სად
არიან? სად არის ჰენახი? ხანანი სადღაა?

სენდერი: /ოდნავ შეწუხებული/. ა-ა! განა ხანა-
ნიც აქ არის? მერე სად არის? სად არის ხანა-
ნი? აქ მოიყვანეთ!

მეირი: /დაინახავს ხანანს, მიწაზე რომ წევს /.
აგერ, დასძინებია.


სენდერი: გააღვიძეთ ეგ ბოთე! წამოაყენეთ!

მეირი: /აღვიძებს. შეშინებული/. არ იღვიძებს.
/ყველანი მიდიან მწოლარესთან და აღვიძებენ/.

ბატლანი პირველი: მომკვდარა!

ბატლანი მიჟრე: /წიგნს აიღებს. კანკალებს/.
ხელიდან ანგელოზ რაზიელის წიგნი გავარდნია!

მეშუახნი: იხილა და მოკვდა...



1-ლი მოქმედების დასასრული

მომხილება მიწრა.

ქალქის მოედანი, მარცხნივ - ხის ძველი სინაგოგა, მიტყუპებული სახლები, თითქოს სახურავი -სახურავს ადგიაო. მოედნის წინ განაპირებულად - მიწის კუზი და ქანდაკი წარწერით: "აქ განისვენებენ ნეტარი დაწმინდა ნეფე-პატარბალი, რომელნიც მოიკვლნენ ნათელი ღვთაების გულისათვის. 1658 წელს. იყვნედ სულნი მადნი სასუფეველსა შინა". სინაგოგის იქით - შესახვევი, და მის უკან რამდენიმე პატარა სახლი, რომლებიც დეკორაციას უერთდებიან. მარჯვნივ - სენდერის სახლი - ხის დიდი შენობა, მაღალი, დერეფნიანი, ეზოს ფართო ჭიშკარი, მის იქით შესახვევი და დუქნებისა და დარბაზების წყება, რომელიც აგრეთვე დეკორაციას უერთდება. დეკორაციის მარჯვენა მხარეს, დუქნების იქით, სასტუმრო, ბაღი, ქალაქის მთავრის სასახლე, მდინარისაკენ მიმავალი ფართო გზა, მდინარის გაღმა, მისი ამალღებული ნაპირის კიდებზე, ქანდაკებებით მოფენილი სასაფლაო. მდინარეზე გაღებული ბოგირი და მის მახლობლად მარცხენა მხარეს - წისქვილი. სცენასთან ახლოს აბანო და საავადმყოფო. სერის კალთაზე - უსიერი ტევრი.

სენდერის ეზოს ჭიშკარი ფართოდ არის გაღებული. შუაგულ ეზოში დგას გრძელი მაგიდები. რომლებიც გრძლად გაჭიმულნი ნახევრად ქუჩაშია გა-

ტანილი. გაშლილია სუფრა, მის გარშემო მერხებზე სხედან ლარიბ-ლატაკნი, დავრლომილნი, აიბიანნი, მოხუცი კაცები, ქალები და ბავშვები, ყველა გამალებით წამს. სახლიდან გამოდიან ფარეშები, რომელთაც სხვადასხვაგვარი საჭმელები და დაჭრილი პური თავმოდგმული სინები უჭირავთ და სუფრაზე მიაქვთ.

დუქნებისა და დარაბების წინ სხედან ქალები, წინდებს ქსოვენ და სენდერის სახლს თვალს არ აშორებენ. ოჯახის კაცები და ახალგაზრდები თეფილინისა და ტალეთის ქისებით ხელში სინაგოგიდან გამოდიან. სახლებსა და დარაბებთან მიდიან, ჩერდებიან და საუბრობენ. სენდერის სახლიდან საკრავების, ცეკვა-თამაშის და ყრიათულის ხმები მოისმის. ირგვლივ სიფხიზლე და მოძრაობაა. შუადღის უამია. ქალაქის მოედანზე, სინაგოგის პირდაპირ დგას მდიდარი სტუმარი, ხანდაზმული ებრაელი, ატლასის ტანსაცმელში, მასთან ბატლანი მეორე.

სტამარი: /ხელებს სარტყელში გაიყრის, აკვირდება სინაგოგას/. საუცხოვო სინაგოგა გქონიან, უზარმაზარი შენობაა, მშვენიერი, ღვთაებრივი შარავანდელით მოსილი. უცნობლად ძველია.

ბატლანი მიწრა: ძველთა-ძველია. მოხუცებულნი ამბობენ, რომ მისი აშენება მათ მამა-პაპებსაც არ ახსოვთ.

სტამარი: /შეხედავს ქანდაკს/. ეს რაღა არის?

/უახლოვდება და კითხულობს/. "აქ განისვენებენ ნეტარი და წმიდა ნეფე-დედოფალი, რომელნიც მოიკვლნენ ნათელი ღვთაების გულსათვის. I 658 წელს!" /ბატლანებს/. ალბათ, I 658 წლის დარბევის დროს.

ბატლანი მიუჩნია: როდესაც ურჯულო ხამილი, აღმოიფხვრას მისი ხსენება, ქალაქს თავს დაესხა და მრავალი ებრაელი ამოწყვიტა, მათ შორის ნეფე-პატარძალიც მათი ქორწინების დროს მოკლა. რა ადგილსაც იქმნენ მოკლულნი, ზედ სინაგოგის კართან, იქვე იქმნენ დასაფლავებულნი. ორივე ერთ საფლავშია, როგორც წმინდანები. ყველა მას "წმიდა-საფლავს" ეძახის. /ჩურჩულით, თითქოს საიდუმლოს ამხელდეს/. და დღემდე, ყოველთვის, როცა აქ სინაგოგასთან რაბი კურთხევის თადარიგს შეუდგება, კვენესის ხმა გაისმის, რომელიც თითქოს წმიდა-საფლავიდან ამოდიოდეს. ჩვენში ჩვეულებად გვაქვს, რომ ქორწილის შემდეგ მოვალთ და აქ დამარხულ ნეფე-პატარძლის გასამხიარულებლად საფლავის გარშემო ვიცეკვებთ-ხოლმე.

სტუმარი: საუცხოო ჩვეულება გქონიათ.

/ეზოდან გამოდის მეირი, მივა მოსაუბრებთან/.

მეირი: /გულმხურვალედ/. განა ღარიბთა სუფრაა! ჩემს თვალებს მისდღემში ღარიბთა ასეთი სუფრა არ უნახავს!

სტუმარი: რა გასაკვირია. სენდერი თავის ერთადერთ ქალიშვილს ათხოვებს.

მეირი: /აღტყინებით/. თითოეულს - თევზის ნაჭერი, შემწვარი ხორცის გემრიელი არშივი, მწვანეულობა და სადილის მრავალგვარი ჩაროზი. სადილის წინ არაყი - თვითეულ კაცს სურვილისამებრ და შაქარლამის ნაჭერი თითოეულისათვის მაძლრისად. ენა ვერ მოსთვლის და ყურს არ დაეჯერება.

ბატლანი მიქრე: სენდერი - თავიანი კაცია. ღირსეულ სტუმრის უგულვებელმყოფელზე ნათქვამია: - არც იმდენად დიდი უბედურებააო. თუ გაწყრება - დეე, გაწყრეს. მაგრამ ღარიბების არა პატივისმცემელზე კი ნათქვამია: - ღმერთმა გვაშოროს მისი ხვედრიო! ღარიბი, რომელიც შენთან მოვა, განა იცი მისი ღირსება? შეიძლება ღარიბი იყოს და შეიძლება სხვა არსება ღარიბის სახით. ვის შეუძლია იწინასწარმეტყველოს ეს? ვაი თუ ღარიბის სამოსელში ზეცური არსებაა გახვეული.

მეირი: ეგების თვით ილია წინასწარმეტყველიც... როგორც ცნობილია, ჩვეულებრივ იგი ღარიბის სახით გვევლინება ხოლმე.

სტუმარი: სიფრთხილე მარტო ღარიბ ადამიანთან კი არ არის საჭირო. არიან უცნაური ადამიანებიც, რომელთა ღირსების გამოცნობას შენ ადამიან-

ნი ვერც შესძლებ. არ შეიძლება იცოდეს სულს პირ-
ვანდელ მიმოქცევაში რა იყო იმისი მიზეზი...
რისთვის დაბრუნდა და ამ ქვეყანას კვლავ მოევ-
ლინა... /მარცხენა მოსახვევიდან გამოდის მე-
შულახი ტომრიდ მხარზე/.

მეირი: /ხელს გაუწოდებს/. მშვიდობა თქვენდა!
თქვენი პატიოსნება კვლავ ჩვენს საკრებულოს
ეწვია?

მეშულახი: კვლავ მომავლინეს აქეთ.

მეირი: კარგ დღეს მობრძანდი. მდიდარი კაცის
ქორწილა...

მეშულახი: მთელ თემში ხმა დარხეულა.

მეირი: თქვენი პატიოსნება ეგების გზაში შეხვ-
და ნეფესა და მოყვრებს? მოსვლა დააგვიანდათ.

მეშულახი: ნეფე თავის ღროზე მოვა. /მიდის
სინაგოგისკენ, მეირი და ბატლანი მეორე ეზოში
შემოვლენ. მაგიღების უკან გამოჩნდება ლეა სა-
ქორწილო ტანსაცმელში. ცეკვავს წრის შემოვლებით
სხვადასხვა ღარიბ ქალებთან ერთად. დანარჩენი
ღარიბი ქალებიც მიიწევენ მისკენ. ისინი კი, რომ-
ლებიც ცეკვა-თამაშს ჩამოშორდნენ, მოედანზე გავ-
ლენ და ჯგუფ-ჯგუფად გაიყრებიან/.

ბაშვიანი ძალი: /კმაყოფილებით/. პატარბაღთან
ვიცეკვე.

კოჭლი ძალი: მეც. გაღავეხვიე და მასთან ერთად
წრეს შემოვუარე. ხი-ხი!

კუზინი: რატომ მაინცღამაინც ქაღბთან ცეკ-
ვავს? მეც მინდოღა მოვხვეოღი და მასთან ერთად
წრე შემომეველო! ხი-ხი!

ღატკანი: ხე-ხე-ხე! /ღერეფნიღან გამოფღენ
ფრიღა, გიტალი და ბათიღა/.

ფრიღა: ვაღმე, ჩემო ლეღა, კვღავ ღატაკებთან
ციკვავს! ღაღღღბა! შვიღებო! ახღავე მომიყვღა-
ნეღ აქ! /ღერეფნიღს მერხზე ჩაღმოღღბა. გიტალი
და ბათიღა ღეღოფღღღან მივეღენ/.

გიტალი: ლეღა, გეღაყვღა, გეყოფღა ცეკვღა. წავიღღეღ.

ბაღიღა: ღაღღღღბი. /ღის და გიტალი ლეღას ხელს
მოჰკიღღებენ და მიჰყავღენ/.

ღარიბი ძღღღბი: /გარს შემოეხვევიღან ლეღას და
ყვირიღან. მუღარიღსა და ყვირიღის ხმიღღ/.

-ჯერ ჩემღან არ უციკვიღა. რიღი ვარ სხვებზე
ნაკღღბი?

- მთელი საათიღა ვუციღღი!

- გამიშვიდ, ელკას შემდეგ ჩემი ჯერი იყო!
- იახნა-კოჭლთან ერთად თითქმის ათჯერ გარს შემოუარა, და მე კი, ერთჯერაც არ მეღირსა. ვაი მე უბედურს!

მეიერი: /გამოდის და მერხზე შედგება. ხმამალა და სიმღერით/.

ასე ბრძანებს რუბ სენდერი, მდიდარი სენდერი: ეზოდ შემოკრბნენ ლატაკნი მთელი ქალაქის! და მიიღოს თითოეულმა წყალობა საკმაო: უზალთუნი სანუკვრებით, უზალთუნი სანუკვრებით!

ფრიბნი: /გარბიან, ერთმანეთს ეჯახებიან და გროვდებიან ეზოს წინ. ერთმანეთს ეჯიკავეებიან და ექსტაზით გაიძახიან/. უზალთუნი! უზალთუნი! /მოედანზე განაპირად რჩებიან მხოლოდ ლეა, გიტალი, ბათია და ოდნავ ელამი მოხუცი ქალი/.

ოღნავ ელამი მოხუცი ქალი: /ლეას ხელს ჩასჭიდებს/არ მსურს მოწყალება! ოღონდაც ჩემთან იცეკვე, რამდენიც გინდოღეს, თუნდაც ერთი წრე! ეს უკვე ორმოცი წელიწადი იქნება, რაც არ მიცეკვია: რა, რა კარგად ვცეკვავდი ბავშვობისას./ლეა ხელი-ხელს ჩაჰკიდებს მას და ცეკვავს. მოხუცი ქალი აღარ უშვებს და გაჰკივის/კიდევ ერთხელ! მხოლოდ ერთხელ! /გარს უვლიან. მოხუცი ქალი თავდავიწყებული გაშმაგებით გაჰკივის/: ერთიც! კიდევ ერთხელ! /გიტალი ძალით ეწევა და ეზოდან გაიყ-

ვანს. მაშინვე ბრუნდება და ბათიასთან ერთად ლე-
ას მერხთან მოიყვანენ. მსახურები მაგიდებს ას-
უფთავებენ. ჭიშკარს დახურავენ/.

მრიდღ : რა მიტკალივით გათეფრებულხარ, ჩემო ლეა,
ძალიან დაილაღე?

ლდა : /თვალებს ლულავს, თავს აიღებს, ლაპარაკობს
უნებურად, / თავს შემომეცლენ, მომეხვივნენ, გამომე-
ცხადნენ... ჩამჭიდეს თავიანთი ცივი თითები.
თავბრუ დამეხვა... გული შემიწუხდა... შემდეგ
უეცრად ჩამავლო ხელი და გამიტაცა შორს...
შორს...

ბაძია : /შეშინდება/. ახ, ჩემო ლეა, შეხედე, როგორ
დაუჭიმუჭნიათ შენთვის ტანსაცმელი. ახლა რას იზამ?

ლდა : /როგორც მანამდე/ ქორწინების დღეს, რო-
დესაც პატარძალს მარტოდ დატოვებენ, მოვლენ სუ-
ლები და გაიტაცებენ მას შორს, ძლიერ შორს...

მრიდღ : /შეშინდება/. ეს რა მესმის შენგან, ჩემო
ლეა? უწმინდური ძალების ხსენებაც არ შეიძლება!
ისინი აბუზულები სხედან ყოველ კუთხესა და კუნ-
ჭულში, ყოველ ხვრელსა და ჭუჭრუტანაში, ისინი
ყველაფერს ხედავენ, ისინი ყველაფერს უსმენენ,
სხედან და იჭყიტებიან, და როგორც კი მათ უწ-
მინდურ სახელს ახსენებენ, მყისვე ჩამოხტებიან
და თავს დაესხმიან ადამიანს. თაფ-თაფ-თაფ!

ლეა: /თვალეზს გაახელს/. ისინი ბოროტნი არ არიან.

მრიღ: მათი შექება აკრბალულია. როცა ავ სულს შეაქებენ, მას ძალ-ღონე ეძლევა და ცდუნებისათვის გამოდის...

ლეა: /სრული რწმენით/ ჩვენ, ბოროტი სულეზი კი არ გვეხვევიან, არამედ იმ ადამის-ძეთასულეზი, რომლებიც უდროოდ გარდაიცვალენ. სწორედ ისინი ხედავენ ჩვენს მოქმედებას და უსმენენ ჩვენს თითოეულ სიტყვას.

მრიღ: ღმერთმა დაგიფაროს, ჩემო ლეა! ასე რად ლაპარაკობ? რომელი სულეზი? წმიდა სულეზი დაფრინავენ და ცისკენ მიილტვიან, მათი სამკვიდრებელი სამოთხეა...

ლეა: /შეაწყვეტინებს/. არა ბეზი, ისინი ჩვენთან არიან. /შეცვლილი ხმით/. ბეზი! ადამიანი განა ხანგრძლივი სიცოცხლისათვის არ არის დაბადებული? თუ ის უდროოდ გარდაიცვლება, მისი სიცოცხლის დღენი ხომ ანაზღაურდება? საით მიილტვიან მისი სიხარულის დღენი და საით მიილტვის მისი მყოფობის კაემანი? რა მოელის მის ფიქრებსა და ზრახვებს, რომლებიც მას თავში მოსვლია, და შვილებს, რომლებიც მას უნდა გაეჩინა. და ქვეყანას ვერ მოუვლინა? განა ყოველივე ეს შეუსრუ-

ლებელი დარჩება? განა /ალტყინებულად/. იყო და არა იყო რა, იყო ერთი ახალგაზრდა ვინმე, მალა-ლი სულის პატრონი, ღრმა აზრებისა და სულისკვეთების მატარებელი. მას ცხოვრების გრძელი გზა ჰქონდა წინ. მაგრამ უეცრად და მოულოდნელად ერთ წამში შეწყდა მისი სიცოცხლე, მოვიდნენ უცხო ადამიანები და დამარხეს იგი უცხო მხარეში. მაშ, სადღა წავიდნენ მისი სიცოცხლის დანარჩენი დღეები? რა მოელის მის ფიქრსა და სიტყვებს, რომლებიც ჩაიხშო, ვიდრე გამოითქმოდა და ლოცვებს შუაზე რომ შეუწყდა? სანთელი რომ ჩაქრება, ანთებენ მას, ისიც ანთია, ვიდრე სულ დაილეოდეს. უდროოდ ჩამქრალი სიცოცხლის სანთელი როგორ დაილევა? საით გაქრება და საით გადაიკარგება?

მრიღა : /თავს აქნევს/ არ შეიძლება ასეთი უცნაური ფიქრების თავში გავლება, შვილო. იღუმალებაა მცოდნე ღმერთია, ჩვენ კი ყველანი ბრმები ვართ, რას გაუგებ მის გზასა და კვალს? /მეშულახი მიუახლოვდება მათ, ისე რომ მოსაუბრეებს შეუმჩნეველი რჩებათ, აღგიღზე გაიტრუნება ლე-ასთან ახლოს/.

ლმა : /თითქოს არ უსმენს, აღსარების დარად/არა. არც ადამიანის სიცოცხლე დაიკარგება. ადამიანი უდროოდ რომ გარდაიცვლება, მისი სული ამ ქვეყნად დაბრუნდება შიშველი, მაგრამ არა სხეულის დარად, შეისრულებს საწადელს და ამოიწურება მი-

სი მოქმედების სარბიელიც, და ამთავრებს თავის მოქმედებას, გაიხარებს იმ სიხარულით და დაიტანჯება იმ ტანჯვით, რაც მას მიეზღვის. /პაუზა/. ბებია-ჩემო! შენ არ მიტხარი განა, შუალამისას სინაგოგაში მიცვალებულნი სალცავად მოდიანო... მობრძანდებიან ალბად ლოცვების დასასრულებლად, რომლებიც შუაზე შეუწყდათ... /პაუზა/ ჩემი მშობელი დედა ახალგაზრდა გარდაიცვალა. ვერ მოესწრო თავისი სიცოცხლე სრულად ენახა. მოდი, წავალ დღეს მის საფლავთან და მისი ქალიშვილის ქორწინებაზე მოვიპატიჟებ. იგი მოვა, და მამა-ჩემთან ერთად მიმიყვანს აჯილის ქვეშ და შემიდგ კი ჩემთან იცეკვებს... ჩვენ შორის სხვა დანარჩენი სულებიც დაიარებიან, მაგრამ ჩვენ არ შეგვწყვეს დავინახოთ ისინი და ვერც შევიცნობთ მათ. /ჩურჩულით/ ბებია-ჩემო! ვისაც გულით უნდა, ეღირსება კიდევ იხილოს ისინი. მოისმინოს მათი ძახილი და გაიგოს მათი ზრახვანი როგორც სიცოცხლისას. მე ვიცი... /პაუზა. თიხს წმიდა საფლავისაკენ გაიშვერს/. აი, წმიდა საფლავი. ბავშვობიდანვე ვიცნობ. ვიცნობ აქ დამარხულ ნეფე-პატარძალს. სიზმრად ხშირად მინახავს ისინი და გამოღვიძებისას კი ნათესავებივით ახლობლნი არიან ჩემთვის... ახალგაზრდები წარმოსადგენნი იყვნენ ქორწინებისას. სიცოცხლის გრძელი გზა, ორი არსების დღეები მათ წინაშე გადაშლილი იყო. და აჰა, უეცრად შემოიჭრნენ უღმობელი ადამიანები წალღობით ხელში და დაეცა უსულოდ ნეფე-პატარ-

ძალი. ერთ საფლავში დაიმარხნენ და შეყვარებულნი ერთმანეთს აღარ განშორდებიან საუკუნოდ... და ყოველი ქორწილის დროს, როდესაც მათ საფლავს ცეკვით გარშემოუვლიან, ორივენი გამოდიან და ცოცხალ ნეფე-დედოფლის სიხარულის წილს იკუთვნებენ. /ადგება და საფლავთან მიდის. ფრიდა და გიტალი უკან მისდევენ. ლეა ხმამაღლა მიმართავს საფლავს/. ნეფე-დედოფალო! ნეტარნო და სპეტაკნო! აი, მე თქვენ გპატიჟობთ ჩემი ქორწილის დღეს. მოზრდანიდით და წარმოღებულთ ჩემი აჯილის ქვეშ. /მოისმის საკრავების ხმა მაცრული. ლეას კვნესის ხმა აღმოხდება და ეს ეს არის უნდა დავარდეს. გიტალი და ბათია შეაკავებენ მას/.

გიტალი: რად ოხრავ? აი, ნეფე უკვე მოვიდა და დამკვრელებიც ჭიშკარისაკენ გაემართნენ მის შესახვედრად.

ბათია: მივირბენ და შევხვლავ მას.

გიტალი: მეც მივდივარ. რომ დავბრუნდებით გეტყვით როგორი გარეგნობა აქვს. არ გინდა, ლეა?

ლეა: /ჩუმად/. არა.

ბათია: მორცხვობ. ნუ მორცხვობ, გედაყვა, არავის გავაგებინებთ. /სასწრაფოდ გავარდებიან. ლეა და ფრიდა ბრუნდებიან და დერეფანში გაჩერდებიან/.

მრილა: რა საკადრისია დედოფალმა თავის მეგობარ ღობილებს თხოვოს, რომ წავიდნენ და ნეფე ნახონ, რათა შემდეგ შეატყობინონ ნეფის გარეგნობა, თეთრია თუ შავი?

მეშუღახი: დედოფალო...

ღა: /კანკალებს/. რა გნებავთ?
/ყურადღებით აკვირდება/.

მეშუღახი: მიცვალებულთა სულები, მართალია, უბრუნდებიან დედამიწას, მაგრამ არა სხეულის დარად, შენ რომ გგონია. არის სული, რომელიც მრავალ გვამში მიმოიქცევა, ვიდრე ის სრულიად განიწმინდებოდეს. /ღა მოწყურებულად უსმენს/. ცოდვილი სულები მიმოიქცევიან მხეცებში, ფრინველებში და თევზებში, თვით ხეებშიდაც კი. თვითონ არ ძალუბთს განეშორონ მათ, შებოჭვილნი როდი არიან. საკუთარ თავს თვითონ განაგებენ და უფალთვალეებენ რომელიმე ცადიკთაგანს, რომ ლხინება აღირსოს მათ. და არიან სულები, რომელნიც თავიანთ ახალ მოქცევაში გამოასწორებენ იმას რაც წინა მოქცევაში დაუზიანდათ...

ღა: /ძრწოლით/. მერე, მერე!

მეშუღახი: არის რომ სული მოწყდება, და რადგან თავის სადგურს ვერ იპოვის, შეიჭრება ცოცხალ

არსებაში, როგორც "დიბუკი"... და ამრიგად აღ-
წევს იგი ლხინებას. /გაქრება.გამოდის სენდერი/.

სენდერი: აქ რას უზიხარ, შვილო?

მრილა: ლატაკებს ართობდა სუფრაზე. ცეკვავდა
მათან, დაიქანცა და ახლა ჩამოჯდა ცოტა სულის
მოსათქმელად.

სენდერი: გამიბლიერდი, შვილო! ლატაკთა გამხი-
არულება - დიდი მადლია. /იხედება ცაში/. დღე
იწურება! ნეფე თვისი მოყვრებით უკვე გვეახ-
ლნენ. თქვენ მზადა ხართ?

მრილა: ღვა წასასვლელია, დედის საფლავი უნდა
ინახულოს.

სენდერი: წადი, შვილო, წადი ინახულე დედა შენი
/ოხრავს/. სულით და გულით შეევედრე მის საფ-
ლავს. დაიპატიჟე იგი შენს ქორწილში. უთხარი, რომ
ჩემი დედის-ერთა ქალიშვილი საქორწინო კურთხე-
ვაზე მასთან ერთად მინდა წარვადგინო. უთხარი,
რომ აღვესრულე ყოველივე ის, რაც მან სიკვდილის
წინ შემავედრა. ჩემი თვალი და გული ყოველთვის
შენ გეკუთვნოდა, მხოლოდ შენ. აღგიზარდე ისრა-
ელის წმიდა და სპეტაკი ასული. ახლა კი შევეურჩიე
საქმრო, გულისხმიერი მოჭირნახულე, ღვთის მოში-
ში და დიდგვაროვანი /ტირის და ცრემლებს იწ-
მენდს. თავდახრილი გაბრუნდება სახლში. პაუზა/.

ლმ: ჩემო ძვირფასო ბები, შეიძლება მშობელი დედის გარდა ქორწილში კიდევ სხვა ვინმეს მოწვევა სასაფლაოდან?

მრილ: შეიძლება, მხოლოდ ჩვენი უახლოესი მოგვარეებიდან. მოიპატიჟე, ბატონი ბაბუა ეფრაიმი, მამიდა ჩემი - მირა.

ლმ: მინდა მოვიწვიო კიდევ ერთი... რომელიც ახლობელი არაა.

მრილ: არ შეიძლება, შვილო. უცხო კაცი რომ მოიწვიო, დანარჩენი მიცვალებულები გაწყრებიან და ღმერთმა გაშროს, სიაჯეს შეგამთხვევენ.

ლმ: ის უცხო არ არის...ის ჩვენში შინაურივით იყო.

მრილ: /ჩურჩულით/. ხანანი? /ელდანაკრავი/. ჰოი, შვილო, შვილო მეშინია. მასზე ამბობენ, რომ იგი ბრალანის სიკვდილით მოკვდაო. /ლეა ჩუმად ტირის/. ნუ, ნუ ტირი შვილო. ისიც დაიპატიჟე, ჩემზე იყოს ცოდვა. /გონს მოვა/. კი მაგრამ, მე რომ არ ვიცი მისი საფლავი და რომ ვიკითხო, ლამაზიც არ იქნება...

ლმ: მე ვიცი...

მრილ: როგორ, საიდან იცი?

ლმა: მისი საფლავი სინამარში მინახავს. /თვალს
 ლულავს, თავისთვის/. თვითონ ისიც მინახავს...
 მომიტხრო კიდევ საკუთარი თავგადასავალი და შე-
 მავედრა, რომ ჩემ ქორწილში მოვიწვიო.../გიტალი
 და ბათია მოდიან ხელი-ხელ გადახვეულნი/.

გიტალი და ბათია: /ორივე ისე, როგორც ერთი,
 მგრძნობიარედ/ ვნახეთ ისი ვნახეთ!

ლმა: /შეკრთება/. ვინ, ვინ ნახეთ??

გიტალი: ნეფე! შავგვრემანია! შავგვრემანი!

ბათია: მოთეთროა! თეთრია!

გიტალი: მაშ, მოდი კიდევ ვნახოთ! / საჩქაროდ
 გასხლტდებიან/.

ლმა: /ადგება/. ჩემო ბები, წავიდეთ სასაფლაო-
 ზე...

ფრიდა: /მგლოვიარედ/. წავიდეთ, შვილო... ახ,ახ,
 ახ; /ლეა მხრებზე თავშალს წამოისხამს და ფრი-
 დასთან ერთად მარჯვენა შესახვევისაკენ გავა.
 სცენა მცირე ხნით ცარიელდება. საკრავების ხმა.
 მარცხენა შესახვევიდან გამოდიან: ნახმანი, რაბი
 მენდელი, მენაშე, სუსტი და ტანდაბალი ახალგაზრ-
 და, მიმქრალი, დიდრონ და დამფრთხალ თვალებიანი.

უკან მოჰყვებიან მამაკაცები, ქალები, საკაიდლო-
ოდ ჩაცმულები. მათ შესახვედრად სახლიდან გამო-
დის სენდერი/.

სენდერი: /ნახმანს ხელს ჩამოართმევს/ მშვილობა
თქვენდა, მძახალო! კეთილი იყოს თქვენი მოზრბა-
ნება. /გადაჰკოცნიან ერთმანეთს. სალამს მის-
ცემს მენაშეს და გადაჰკოცნის. დანარჩენ მომ-
სვლელებსაც მიესალმება/. სხვა, როგორ იმგზავ-
რეთ, მძახალო!

ნახმანი: გზა მეტისმეტად ცუდი და ძნელი იყო.
რკინიგზის ლიანდაგს გავცდით თუ არა, მინდორში
გზა დიდხანს ვერ გავიკვლიეთ. შემდეგ ჩავცვივ-
დით ჭაობში და ცოტა-ლა დარჩა, კინალამ დავიხრ-
ჩენით. დიდის გაჭირვებით დავაღწიეთ თავი იქა-
ურობას. ვთქვი, ვინ იცის, რომ აქ უწმინდურ ბალ-
თა ხელი არ ურევია და რომ სატანა არ გვაბრკო-
ლებს-მეთქი... რაც იყო-იყო, მაღლობა გამჩენს!
ხომ მშვიდობით მოვედით დასახულ ადგილას!

სენდერი: კარგა დაღლილები იქნებით? და ალბათ
მოსვენება გენდომებათ?

ნახმანი: არა უშავს რა. ჩვენ კიდევ გვაქვს ერთ-
მანეთში მოსალაპარაკებელი ვალდებულებების,
მზითულობის, საჩუქრებისა და კიდევ სხვა რამე-
ების თაობაზე...

სანდარი: კეთილი. /მოეხვევა მას, ეზოში ორი-
ვენი ბოლთას სცემენ და ჩუმად საუბრობენ/.

რაზი მენდელი: /მენაშეს/ ყური დამიგლე: მა-
გიდას სრული სიმშვიდით, თამამად, თავმდაბლად და
ხმამოუღებლივ მიუჯღები... და როცა საქორწილო
სუფრაზე თამადა განაცხადებს: "წარმოსდგეს ნე-
ლე სათხოვნელადო!" - მაშინვე ფეხზე წამოდგები,
სკამზე შედგები და იტყვი სადლეგრძელს სიძლე-
რით და მაღალი ხმით. ეს შენც ხომ კარგად იცი,
ვის არ აქებენ კარგი სადლეგრძელს თქმისთვის,
ნუ დაირცხვენ! ხომ გესმის?

მენაშე: /მექანიკურად/ გავიგონე. /ჩუმად/. რა-
ზი... მეშინია...

რაზი მენდელი: /შეკრთება/. რისი გეშინია? და-
გავიწყდა განა სადლეგრძელო?

მენაშე: სადლეგრძელო კი მახსოვს, მაგრამ...

რაზი მენდელი: აბა რად გეშინია?

მენაშე: /დიდი მწუხარებისაგან/. არ ვიცი...
გზაზე გამოვედი თუ არა, დიდმა შიშმა შემიპყრო
უცბად... უცხოა ჩემთვის ახალი ადგილები და
ჩემს დღეში არ მინახავს ასე ბევრი ხალხი. შიში
მიპყრობს ყოველი მხრიდან რომ მიყურებენ. მეში-

ნია მათი თვალების... /კანკალებს/ რაბი, არ არის შიში, როგორც უცხო ადამიანთა თვალბისაგან შეშინება...

რაბი მინდალი: შეგილოცავ ავი თვალსას.

მინაში: /თითქოს არ უსმენს/. რაბი, მინდოდა მარტო დავრჩენილიყავი, თავი კუთხის ჩრდილისათვის შემეფარებინა, დავმალავდი თვალბს... და აჰა, ჩემს გარშემო უცხო ადამიანთა კრებულა, და მათთან ვისაუბრო, ვიქადაგო მათ წინაშე... ასე მგონია ვისმე თითქოს სასიკვდილოდ მივყავარ-მეთქი... /ფარული შიშით/. რაბი! ჩემთვის ყველაზე მძიმე - მისი შიში და რღია! შიში იმ უცნობი ქალიშვილისა!..

რაბი მინდალი: გამხნევი და გული გაიმაგრე. გაძლიერდი შიშზე! თორემ ღმერთმა ნუ ქნას, სადღეგრძელო დაგავიწყდება. წავიდეთ სასტუმროში და გავიმეოროთ. /მიდიან/.

მინაში: /დაინახავს წმიდა საფლავს და უკან დაიხევს. რაბი მენდელს ხელს ჩასჭიდებს/. რაბი, ეს რა არის? საფლავი შუა ქალაქში! /მივლენ და ჩუმად კითხულობენ ქანდაკის წარწერას. იქვე გაქვავდებიან და თავრალუნულები დუმულად გადაიქცევიან. სენდერი სახლში შედის, ნახმანი და დანარჩენი მოყვრები მარცხენა შესახვევისაკენ მი-

ღიან. ეზოდან ტომრებით მხრებზე და ჯოხებით ხელ-
ში ლარიბები თითო-თითო გამოღიან. მიღიან ნელ-
ნელა სცენის წინ და თვალს მიეფარებიან მარცხე-
ნა შესახვევში. მცირე ხანს ჩერდებიან/.

ტანმაღალი ჭლეძიანი ძალი: ქეიფი დამთავრდა.
იყო და არა იყო რა...

კოჭლი ძალი: შეგვპირდნენ თითოეულისათვის თეფ-
ში წვენი მოერთმიათ, მაგრამ შესრულებით კი არ
შეგვისრულეს...

კაზინი: სეფისკვერი ზეთისხილზე უფრო პატარა
იყო...

ომბოხიანი კოჭლი: ამისთანა მდიდარია და სული
მისდის თითოეულისათვის ქადის მიცემაზე.

ტანმაღალი ჭლეძიანი ძალი: ხელები უმოკლდებათ
ქათმის ერთი დილიმის მოცემაზე. დარწმუნებული ვარ
მდიდარ სტუმრებს ქათმებსა, ბატებს და გედებსაც
ლამბაქებით მიართმევენ...

ოღნავ ელამი მოხუცი ძალი: ჭია-მატლად ექცეთ
საფლავში! ოპ-ოპ, აპ!

/ყველანი წავლენ. მოსახვევთან მენაშე და რაბი
მენდელი თავჩალუნულები სეირნობენ. სცენა ცარი-
ელდება. სცენას ნელი ნაბიჯით გაივლის მეშულა-

ხი. შეუმჩნევლად სიბნელე ჩამოწვება. მელუქნეები ღარაბებს კეტავენ. სინაგოგიდან და სენდერის სახლიდან სანთლის შუქი აკიაფდება. დერეფანთან გამოდინ სენდერი, გიტალი, ბათია და აქედ-იქით იცქირებიან/.

სენდერი: /შეწუხებული/. სად არის ლეა? ლეა სად არის? ან დედაბერი სადღაა? ასე რატომ იგვიანებენ სასაფლაოდან... ვაითუ რამე უბედურება შეემთხვათ!

გიტალი და ბათია: /ორივენი ერთად/. წავიდეთ დავუძახოთ. /მარჯვენა შესახვევიდან გამორჩნდებიან არჩარებული ლეა და ფრიდა/.

მრიდა: მალე, შვილო, მალე! ძალზე დაგვაგვიანდა. რატომ დაგიჯერე? მეშინია, რამე უბედურება არ დაგვემართოს, ღმერთო გვაშორე.

სენდერი: აგერ ისინიც! რად დაგვაგვიანდათ? /სახლიდან ქალები გამოდიან/.

ძალები: წავიყვანოთ პატარძალი სანთლების ასანთებად. /ლეა სახლში შეჰყავთ/.

მრიდა: /გიტალის და ბათიას/. გული შეუწუხდა. დიდის გაჭირვებით მოვასულიერე. ახლაც ვკანკალებ.

ბათია : მთელი დღე მარხულობდა . სუსტი გულის პატრონა .

ბიჭალი : იტირა დედის საფლავზე ?

მრილა : მთელი გულით და სულით, მთელი არსებით . /პატარბლის ჩამოსაჯდომად გამოსასვლელთან დგამენ სკამებს . მოიყვანენ ლეას და დასვამენ . მოპირდაპირე შემოსახვევიდან გამოდიან : ნახმანი, რაბი მენდელი, მენაშე და მათი მოყვრები . მენაშეს საპატარბლო პირბადე მოაქვს, ლეასთან მივა ბორძიკით, თვალებ-დახრილი და უნდა მას პირბადე გადააფაროს, მარჯვენა შემოსახვევიდან გამოდის მეშულახი/.

ლმა : /ადგილიდან წამოხტება და გაჩერდება, მენაშეს ხელს ჰკრავს და შეჰკივლებს/. შენ არ იქნები ჩემი საქმრო! /ჩოჩქოლი, ყველა შეძრწუნებული უცქერის ლეას/.


სენდარი : /შეშფოთებული და შეძრწუნებული/ შვილო, შვილო! რა მოგდის შვილო!

ლმა : /გასხლტება და ხელებგაშლილი გაიქცევა წმიდა საფლავისაკენ/. ნეფე-პატარბალო, წმინდანებო და სპეტაკნო, დამიფარეთ მე! /დაეცემა საფლავზე . წამოაყენებენ . აქეთ-იქით გაშმაგებული იყურება . გაჰკივის შეცვლილი და ძლიერი ხმით/.

ა-ა! მე ხომ დამმარხეთ, აწ დავუბრუნდი ჩემს
 მეწყვილეს და აღარ გავშორდები /ნახმანი მას-
 თან ახლოს მივა. იგი შეუტევს მას პირ-სახეში/.
 თხუნელავ! /შეშინებული უკან დაიხევს/.

მეშუახი: დედოფალში დიბუკი დასულგმულებულა.
 /ხალხში დიდი ყრიაბულია/.

მ ა რ დ ა .



მოდმილება მესამე.

მიროპოლელი რაბი ყაზრიელის სახლში. დიდი ოთახი. "მინიანის" სალოცავად. მარცხენა კედელთან, მთელ სიგრძეზე დგას გრძელი მაგიდა სუფრა-გადაფარებული. მაგიდის ორივე მხარეს - გრძელი მერხები. მაგიდის სათავეში - სავარძელი. მაგიდის უკან - ქუჩაში გასასვლელი. მოპირდაპირე კედელში - წმიდა კილობანი ყამუდი -საწიგნე მაგიდა, მარჯვნივ "ზიმის" მაგივრად კედელთან წიგნის კარალები, სკამები. გრძელ მაგიდასთან დგას მიხაელი, პურს პატარ-პატარა ნაჭრებად ჭრის და ხვავებად აწყობს. პატარა მაგიდასთან ზის მეშულახი. ექვსი-შვიდი ხასიდი თავს ადგია. დანარჩენ ხასიდებებს შორის ერთი ნაწილი ფსალმუნს კითხულობს, მეორე კი - დგას და საუბრობს.

ხასიდი პირველი: /თავის ამხანაგს, ოთახის შუაგულ ადგილას/. ჩამოსული სტუმარი საოცარსა და შემაპრწუნებელ ამბებს მოგვითხრობს, მესმოდა და შიში მიპყრობდა.

ხასიდი მეორე: რა უნდა გაშინებდეს?

ხასიდი პირველი: საოცარი ამბები! დიდი გამოცანებია ისინი!.. ბარსელის წიგნში მოთხრობილი იგავთა მსგავსი...

ხასიღი მიწრა: მცხოვანი ხასიღიმეები ისმენენ ხოლმე, მაგრამ შიშს ახლსაც არ გაიკარებენ. რისი გეზინია?

ხასიღი მისამი: /მეშულახს/. გვიამბოს თქვენმა სახიერებამ. კიდევ მოგვიყვიეთ რამე.

მეშულახი: დრო აღარ არის.

ხასიღი მისამი: ბატონი რაბი არც ისე მალე გამობრძანდება.

მეშულახი: /ყვება/. ქვეყნის ბოლოს მაღალი მთაა, ამ მთის თხემზე კი დიდი ქვა. ქვიდან ანკარა წყარო გამოდის. მეორე ქვეყნის ბოლოს - ქვეყნის გულია. ქვეყნად ყოველივე საგანს ხომ საკუთარი გული აქვს. მთელი სამყაროს სხეულსაც აქვს საკუთარი გული და მეტად დიდიც. ეს ქვეყნის გული ანკარა წყაროს ნიადაგ უცქერის, მაგრამ ცქერით ვერ ძღება, ცახცახებს და მიიღტვის მისკენ, სდუმს და ნატრობს, მიუახლოვდეს მას, მაგრამ არ შეუძლია. როგორც კი ადგილიდან დაიძვრის თუნდაც ერთი ნაბიჯით, მთის თხემი და ანკარა წყარო მყისვე ქრებიან. და რადგან ქვეყნის გული ანკარა წყაროს ვერ იხილავს, მისი სიცოცხლე შეწყდება. გულის სიცოცხლის გარეშე არ არსებობს სიცოცხლე ქვეყანაზე, ამიტომ ყოველი საგანი ამ დროს სიკვდილის პირად ღვება. დროდაჟამი კი ან-

კარა წყაროს საკუთრივ არ გააჩნია, ის იმ დრო-დაჟამით საზრდოობს, რომელსაც ქვეყნის გული მას საჩუქრად მიართმევს. სამყაროს გული მას სრულ ერთ დღე-ღამეს უსაჩუქრებს ხოლმე. როდესაც დღე მიიწურება, ანკარა წყარო სამყაროს გულის მიმართ გალობას იწყებს, სამყაროს გული კი, თავის მხრივ, ანკარა წყაროს უგალობს. ორივეს გალობა სამყაროს მოეფინება, მათგან სხივები გამოკრთებიან და ქვეყნის ყოველივე საგნის გულს მოედება და გადაეცემა ერთი-მეორეს, მეორიდან მესამეს და ასე შემდეგ... ერთი ძე კაცია, მოწყალე და განმგებელი, ქვეყნად დაბრწის, დაიარება და გულთა სინათლის ნამცეცებს კრეფს და მათგან დრო-ჟამს ქარგავს. დღის სრულ მოქარგვას რომ დაამთავრებს, ამ დღის ნაქარგს სამყაროს გულს მიართმევს, სამყაროს გული კი - ანკარა წყაროს, და ამრიგად ეს კიდევ ერთ დღეს სულგმულობს.

ხასილდი მესამე: რაბი მობრბანდება. / ყველა გარუმდება და ფეხზე წამოდგება. წინა ერთი ოთახიდან გამოდის რაბი ყაზრიელი, მოხუცი თეთრად ჩაცმული, რომელსაც თავს შტრიმალის დოლბანდი ახურია/.

რაბი ყაზრიელი: /ფიქრებში გართული, მძიმე ნაბიჯით მაგიდასთან მივა და სავარძელში ჩაჯდება, თითქოს გლებიაო. მის მარჯვნივ დადგება მიხაელი. ხასილდომები მაგიდას გარშემო ეხვევიან. ამ-

ათგან მოხუცები მერხებზე ჩამოსხდებიან. ახალ-გაზრდები კი მათ უკან დადგებიან. მიხაელი კრებულს "ხალას" გაუნაწილებს. რაბი ყაზრიელი თავს მალა ასწევს და მთრთოლვარე ხმით ჩუმად დაიწყებს მღერას/. "და ჰი სეყუდათა დედავიდ "მალქა მეშიხა" - ეს არს ტრაპეზი დავიდ მეფე მესიისა." /მის ნათქვამს ყველა გაიმეორებს. მიირთმევენ ხალას. დაიწყებენ მისტერიულ გალობას, ჯერ ჩუმად, უსიტყვოდ, სევდიანსა და მწუხარებით ალსავსეს. პაუზა. რაბი ყაზრიელი ღრმად ამოიოხრებს, თავს ხელებში ჩარგავს, მცირე ხანს დუმს და ფიქრებს მიეცემა: ოთახში სამარისებური დუმილი და შიშია ღვთაებისადმი. რაბი ყაზრიელი თავს ასწევს და დაიწყებს ლაპარაკს ჩუმად და მთრთოლვარე ხმით/.

ნეტარი ბაალ-შემ-ტობის შესახებ მოგვიდხრობენ, მაღლი მისი გვფარავდეს ჩვენ/მცირე პაუზა/: ერთხელ მაჟვეჟში ჟამბაზების დასი ჩამოსულა. იმ ჟურის გაჩენილთაგანი საკვირველ ამბებს საჯაროდ რომ უჩვენებენ. მდინარის ერთი ნაპირიდან მეორეზე ბაგირი გაჭიმეს და ერთი მათგანი საროკავად ბაგირზე გამოვიდა. ამ უცნაურობის სანახავად ხალხი ქალაქის ყოველი კუთხიდან მდინარისაკენ გამორბოდა, ჩვენი მრავალი ცოლდვილიანობის მიზეზით. მდინარის პირას "ბაალ-შემ-ტობი"-ც გამობრძანდა და შუა ხალხში გაჩერდა. იდგა და უყურებდა იმ კაცს, რომელიც ბაგირზე თამაშობდა. ყველა გაოცებული იყო: "ბაალ-ჰაშემი" ამგვარ სა-

ნახაობის საყურებლად როგორ გამოსულაო! - გარ-
შემოეხვივნენ მისი მოწაფენი, რომ შეკითხოდნენ,
თუ რას ნიშნავდა ეს. ნეტარი "ბაალ-ჰაშემი" აღ-
გება და უპასუხებს მათ: გამოვედი, რომ მენახა
და დავეკვირვებოდი ადამის გაჩენილი ღრმა უფ-
სკრულის პირს როგორ გაივლის-მეთქი. ვიხილე და
აზრად მომივიდა: ადამიანმა სულის ღბინებისა-
დვის ამდენი რომ იწვალოს და იშრომოს, რამდენიც
ამას სხეულისადვის უწვალა და უშრომია, სულს
რამდენი სიცოცხლის წვრილ ბაგირის გზაზე ღრმა
უფსკრულის პირას გაატარებდაო". /ღრმად ამოი-
თხრებს. პაუზა. ხასიდიმები ერთმანეთს გადახე-
დავენ გაკვირვებით/.

ხასიდი პირველი: ამბები, ქვეყნის ფასად რომ
ღირს!

ხასიდი მეორე: დაუფასებელზე უფრო დაუფასებე-
ლი!

ხასიდი მესამე: არა აქვს ფასი და არა აქვს
ზომა!

რბი ყაზრელი: /ანიშნებს მიხაელს, ესეც და-
იხრება/. მიხაელ! ჩვენში ვილაც უცხო კაცი
ჩანს.

მიხაელი: /მიიხედ-მოიხედავს და მეშულახს შე-

ნიშნავს/. მეშულახია. საქმე აქვს და აქ მოვი-
ყვანე. მეტად მიღებული კაცია.

რბი ყაზრიელი: რისთვის ჩამოსულა?

მიხაელი: არ ვიცი. ეგების გვიბრძანებთ, რომ
დაგვტოვოს?..

რბი ყაზრიელი: უფალო განმარინენ! პირიქით, ხი-
ზანი უნდა მიიღო. მთარფი სკამი. /მიხაელი ოდ-
ნავ გაკვირვებით, მეშულახს სკამს მთარმევს.
მეშულახიც უხერხულობას გრძნობს, დაჯდება. ამ
ამბავს ხასილთაგანი ვერავინ ამჩნევს. რბი ყაზ-
რიელი ერთ-ერთს თვალთ ანიშნებს, ეს კი უსიტყ-
ვოდ მისტერიულ ჰანგზე მღერას იწყებს. რბი ყაზ-
რიელი როგორც მანამდე/.

კურთხეულ არს იგი, დიდი და წმიდაა მისი
სამყარო, მთელი ქვეყნის მხარეთა შორის – წმიდა
ქვეყანა ისრაელთა სამშობლოა. ისრაელთა სამშობ-
ლოს ქალაქებს შორის – ყველაზე წმიდა – იერუსა-
ლიმია, და იერუსალიმის აღგილებს შორის ყველაზე
წმიდა – ღვთაების ტაძარია; ღვთაების ტაძარში
ყველაზე წმიდა აღგილი კოდეშ ჰაკოლაშიმის აღ-
გილია /მცირე პაუზა/. ქვეყნად სამოკლდაათი ეროვ-
ნებაა; მათგან ყველაზე წმიდა ისრაელთა ეროვ-
ნებაა; ისრაელთა ტომთა შორის – ყველაზე წმიდა-
– ლევის ტომია. ლევიტელთა შორის ყველაზე წმი-
და – ქოჰანიმები – ქურუმები არიან. ქოჰანიმებს
– ქურუმებს შორის ყველაზე წმინდანი მთავარი

ქოჭენია /მცირე პაუზა/. წელიწადში სამასორ-
 მოცლა თოხმეტი ღლეა; მათ შორის ყველაზე წმი-
 და საღვთისაა წაულო ღლეებია; ამაჟგან ყველაზე
 მაღალი - შაბათი ღლის დაპატოსნებაა; ყველაზე
 მაღალი ქიფურიღლე - შაბათია, შაბათთა - შაბათის
 დაპატოსნებაა; /მცირე პაუზა/ ქვეყნად სამოცდათ-
 თი ენაა; ყველაზე წმინდა-ებრაული ენაა; ყველაზე
 წმიდა ამ ენაზე - წმიდა თორაა; თორის სიტყვებს
 შორის ყველაზე წმიდა - ათი მცნებაა; ამ ათ მცნე-
 ბაში კი ყველაზე წმიდა - აღონაის სახელია,
 /მცირე პაუზა/. ეს ოთხივე უზუნაესი სიწმიდე
 თავს მოიყრის ერთხელ წელიწადში ქიფურის ღლეს,
 როდესაც მთავარი ქოჭენი კოდეშ-ჰაკოდაშიმში
 შებრძანდებოდა და აღონაის სახელს წარმოსთქვა-
 და, ხომ უსაზღვროდ დიდი იყო ეს საათი თავისი
 სიწმიდითა და სასწაულებით, მაგრამ ამავე დროს
 მთავარი ქოჭენი და მთელი ისრაელთა დიდი. გან-
 საცდელის წინაშე იდგა. ქოჭენი იმ დროს თუნდაც
 უმნიშვნელო, ღმერთმა დაგვიფაროს, ცდუნებით რომ
 შეცდენილიყო, მაგალითად, შეცოდების აზრად გაელ-
 ვება, ან და გარეშე ზრახვების გულში გატარება,
 მთელი ქვეყანა გაოხრდებოდა. ღმერთმა გვაშოროს.
 /მცირე პაუზა/. ყოველი ადგილი, სადაც ადამი-
 ანი დგას და საიდანაც ზეცას თვალებს მიაპყრობს
 წმიდათა-წმიდა ადგილია იგი. ადამიანის სიცოცხ-
 ლის ყოველი ღლე - ქიფურის ღლეა იგი. ყოველი ის-
 რაელის შვილი მთავარი ქოჭენია და ყოველი სიტ-
 ყვა, რომელიც ადამიანის ბაგეთაგან სიწმიდითა

და სისპეტაკით წარმოითქმის – აღონას სახელია იგი. და ამრიგად, აღაძიანის ყოველი გარეშე ზრახვა, მისი ყოველი დაშვება და ყოველი დავარდნა, ქვეყანას გაოხრებით ემუქრება /ჰაუზა. მთრთოლვარე ხმით/. ისრავლთა სულები, როგორც ძუძუმწოვარნი, დედის უბისაკენ, მიძიმე და აუტანელ ტანჯვა-წამებასა და უამრავი მიმოქცევის გზებს გამოვლილნი, მიილტვიან და მიისწრაფვიან ზენაარსის ტახტისაკენ. ხანდახან, როდესაც ისინი ზენაარსის ტახტს მიუახლოვდებიან და თითქმის მის გვერდით დადგებიან, გაძლიერდება სატანა, ღმერთთ გვაშორე, სულიც წაბორძიკდება და უკუ ეცემა... ამრიგად დიდ ამალღებას – დავარდნაც დიდი მოყვება... რამდენადაც დიდია ამალღება – იმდენად უფრო ძლიერია დავარდნაც. და ასეთი სული, სული რომელიც გადაეშვება უფსკრულისაკენ – მთელი ქვეყნიერება და ათი სფერო ტირის და გლოვობს მას /ჰაუზა. თითქოს იღვიძებსო/. შვილებო, ამას დავჯერდეთ "შაბათ დედოფლის გაცილების" სუფრაზე.

მიხაილი: ბატონ რაბის სურს მარტო დარჩეს. /ოთახიდან ყველა გადის ჩუმად და აუჩქარებლივ. რაბი ყაზრიელი ზის ფიქრებში ჩაძირული/. რაბი! /რაბი ყაზრიელი დანადვლიანებულია და განაბული შეაშტერდება მას/. რაბი, ბერენიცელი რებ სენდერი გაეხლათ.

რაბი ყაზრიელი: /თითქოს მის სიტყვებს უბრუნდებაო/. სენდერი... ბერენიცელი... ვიცი.

მიხაელი: თავს დიდი უბედურება დასტეხია. დედ-ისერთა ქალიშვილში "დიბუკი" დასადგურებულა.

რაბი ყაზრიელი: /როგორც მანამდე/. ქალიშვილში "დიბუკი" დასადგურებულა. ვიცი.

მიხაელი: და ქალიშვილი ბატონ რაბის მოჰგვარა...
რა...

რაბი ყაზრიელი: მე მომგვარა? ჩემთან? როგორ? განა ვინა და რა ვარ მე? განა არის ჩემი "მე" ამ ქვეყანად?

მიხაელი: მთელი ქვეყანა შენს კარიბჭეს შემოჰყურებს...

რაბი ყაზრიელი: მთელი ქვეყანა...ქვეყანა ბნელთ არის მოცული...ბრმების ჯოგი ბრმა მწყემსს მოჰყვება უკან...მათ თვალები რომ ჰქონდეთ ჩემთან არ მოვიდოდნენ, არამედ თვალებს ალაპყრობდნენ აღონაისაკენ, რომელსაც საკუთარი "მე" გააჩინა და ერთადერთი "მეა" მთელს სამყაროში.

მიხაელი: რაბი, თქვენ ხომ მისი მოციქული ბრძანდებით.

რაბი ყაზრიელი: /გულიანად ამოიოხრებს/. შენ ასე ამბობ, მთელი ქვეყანაც ასე ლაპარაკობს,

მაგრამ თვითონ მე ამაში დარწმუნებული არა ვარ. ეს ორბოცი წელიწადია რაბინის სავარძლის მფლობელი ვარ და ჯერაც არ ვიცი, კურთხეული გამჩენის ნამდვილი მოციქული ვარ თუ არა. არის წუთები, როცა კურთხეული გამჩენის, ყოვლის შემძლის, წყაროს სიახლოვეს ვგრძნობ ხოლმე. იმ დროს თვით უმაღლეს სამყაროთა დაუფლება შემწევს. ყველა ჩემი ეჭვი გაივლის და გაქარწყლდება მაშინ. მაგრამ არის წუთები, როცა ჩემი თავი მეტად ჰატარა და უსუსური მერვედება. და ასე მგონია, თითქოს დაკარგული ბავშვი ვიყო... ამ დროს გამხნევებას და შემწეობას თვით მე ვსაჭიროებ...

მიხაელი: მახსოვს, რომ...

რაბი ყაზრიელი: /ღელავს/ რა გახსოვს? რა?

მიხაელი: ერთხელ შუალამისას ჩემთან რაბი მობრძანდა და მთხოვა მასთან ერთად "დავიდისი ფსალმუნი" მეკითხა.

რაბი ყაზრიელი: მართალია... ეს დიდი-ხნის ამბავია. მას შემდეგ თავს ცუდად ვგრძნობ... /მუდარის ხმით/. რა უნდა ხალხს ჩემგან? მოხუცი და უსუსური ვარ. სხეული ჩემი მიმქრალია, სული ნატრობს განმარტოს სხეული... მთელი ქვეყნის შეჭირვება ჩემს კარზეა მომდგარი. გულის ყველა ჳრილობა ჩემს წინაშე ცხადდება. ჩემგან ყველა

შველას მოელის და ყველას ჩემგან კურთხევა სწა-
და... ყოველი არზა, რომელსაც მე მომარდმევენ,
ისარივით მხვდება გულში... /ტირის/, აღარ არის
ღონე... აღარ შემიძლია...

მიხალღი: რაბი! რაბი!

რაბი ჭაზრიელი: არ შემიძლია...არ შემიძლია...
/ტირის/.

მიხალღი: რაბი! ნუ გავიწყდებათ, რომ თქვენ
დიდი ცადიკიმების მრავალი თაობის განშტოება
ხარდ... მამათქვენი, რაბი იცილევ, კურთხეულ იყ-
ავნ ხსენება მისი და მამა-თქვენის მამა აღმორი
დიდი რაბი ვოლვოლელი...

რაბი ჭაზრიელი: /დამშვიდებული და ნეტარებით/.
მამა-ჰაჰანი... მამა-ჩემი რაბი იცხაკი, კურთხე-
ულ იყავნ ხსენება მისი, რომელმაც მიცვალებულთა
მკვდრეთთ აღდგენა იცოლა... ბიძა-ჩემი ნეტარ-
ხსენებული რჩეული რაბი მეირი, რომელიც ცისკრის
საგალობლის კითხვით ზეცაში აღიოლა. მამა-ჩემის
მამა დიდი რაბი ვოლვოველი, რომელიც ნეტარხსენე-
ბულ ბაყალ-ჰაშემის თანაბოსწავლე და მიძღვეარი
ბრძანდებოდა... /კისერს გამართავს/. იცი, შენ
მიხალღ, დიბუკს მამა-ჩემის მამა დაფიცებითა და
ღვთის სახელის ხსენებით კი არა, ერთი შერისხ-
ვით განდევნიდა ხოლმე... გესმის შენ? ერთი შე-

რისხვით... /ფხიზღდება/. ჩემი გაჭირვების დროს გულს მისკენ წარვმართავ და ისიც მყისვე გამომეცხადება და არც ახლა მიმატოვებს. მოახსენე სენდერს, მოვიდეს! /მიხაელი გავა და სენდერთან ერთად დაბრუნდება/.

სენდერი: /რაბი ყაზრიელისაკენ გაიშვერს ხელებს/ რაბი, შემიბრალებთ! მიშველეთ! გადამირჩინეთ დედისერთა ჩემი ქალიშვილის სული.

რაბი ყაზრიელი: როგორ დაგატყდათ ეს უბედურება?

სენდერი: სწორედ საქორწინო კურთხევის შესრულების წინ დაგვატყდა თავს...

რაბი ყაზრიელი: /შეაწყვეტინებს/. ამას არ გეკითხები... რა იყო ამ ამბის ნამდვილი მიზეზიმეთქი?

სენდერი: არ ვიცი რაბი.

რაბი ყაზრიელი: ნაყოფში მატლი ვერ შეიჭრება, თუ ნაყოფს წინასწარ სიღამძლე არ შეეპარა...

სენდერი: რაბი, ჩემი დედისერთა ქალიშვილი ისრაელის წმიდა და უმანკო ქალიშვილია. ქუჩაში გასვლა ყოველთვის ერცხვინებოდა და ჩემს ნებადაურთველად არასოდეს გასულა...

რბი ყაზრიალი: ისიც ხდება, რომ შვილები თავიანთი მამა-პაპათ ცოდვების გამო დაისჯებიან ხოლმე.

სანდორი: ჩემში ცოდვას თუ აღმოაჩენთ, თავზე მონანიებას მივიღებდი.

რბი ყაზრიალი: შეეკითხეთ თუ არა "დიბუკს", ვინ არის იგი და რატომ დასადგურდა ქალიშვილის სხეულში?

სანდორი: არ გვიმჟღავნებს...თუმცა კი ხშირ იცნეს, რომ იგი უნდა იყოს იეშიბის მოსწავლე ყმაწვილთაგანი, რომელიც ჩვენ იეშიბაში სწავლობდა და ქორწინების რამდენიმე დღის წინ ბრალიანი სიკვდილთ მოკვლა /ხმას დაუმიდაბლებს/. იგი კაბალაში ჭირნახულობდა და დაიღუპა...

რბი ყაზრიალი: ვისი ხელით?

სანდორი: ალბათ უწმინდური ძალების... სიკვდილის წინ თავის ერთ-ერთ ამხანაგს უთხრა .ბოროტებას არ უნდა ებრძოლოო და რომ თვით სიტრა-ახარაში - სატანაშიც არისო სიწმიდის ნაპერწკალი, უფალო განმარინენ!

რბი ყაზრიალი: შენ მას იცნობდი?

სანდორი: სტუმრად მყოფია ხოლმე.

რაბი ყაზრიელი: იქნება რაიმე შესცოდე მას?

სენდერი: არ ვიცი... არ მახსოვს... /დიდი წუხილით/. რაბი, რა ვარ მე, თუ არა მარტოოდენ სისხლი და ხორცი... /კაუზა/.

რაბი ყაზრიელი: /გადაწყვეტილად/. შემოიყვანეთ ქალიშვილი /სენდერი გადის, რაბი ყაზრიელი ფიქრებს მიეცემა. კარებში გამოჩნდებიან სენდერი და ფრიდა, რომლებიც ლეას იმაგრებენ. ლეა შესვლაზე არ ნებდება/.

სენდერი: შვილო, დაუჯერე მამაშენს და შემოდი. ნუ შემარცხვენ რაბის წინაშე.

ფრიდა: მოდი, შვილო, მოდი, სულის ნუგეშო!

ლეა: ბები, შემოსვლა მინდა, მაგრამ ვერ შემოსულვარ,

ფრიდა: გამაგრდი შვილო, და შემოდი!

ლეა: /ღიბუკის ხმით/. არ მინდა შემოსვლა! არ მინდა! /ეწინააღმდეგება/.

რაბი ყაზრიელი: /ჩუმად, ბრძანების კილოთი/. ქალიშვილო! გიბრძანებ შემოხვიდე ოთახში! /ლეა თავს დახრის, მორჩილდება და ნელ-ნელა შე-

მოღის/. დაჯექი! /დაჯდება. სენდერს და ფრი-
დას უკავიათ/.

ლეა: /ღიბუკი. უცებ ადგილიდან წამოიჭრება/.
გამიშვით! არ მინდა!

რაბი ყაზრიელი: ღიბუკო! გიბრძანებ თქვა, ვინა
ხარ?

ლეა: /ღიბუკი/. რაბი მიროპოლელი! შენ უკვე
იცი ვინცა ვარ. სხვებს კი არ მინდა გავუმხილო
ჩემი სახელი.

რაბი ყაზრიელი: კვლავ ვმბრძანებლობ შენზე მი-
თხრა, ვინა ხარ შენ?

ლეა: /ღიბუკი/. მე ერთი იმათგანი ვარ, რომელ-
ნიც ახალ გზებს დაეძებენ...

რაბი ყაზრიელი: გზებს მხოლოდ სწორ გზას აცდენ-
ნილნი დაეძებენ. ვინც მართებულ გზაზე დგას,
იგი რწმენით დაიარება.

ლეა: /ღიბუკი/. ძნელია იგი.

რაბი ყაზრიელი: შენზე აღრე უკვე "ახერ"- მა
თქვა და სახსარ-სახსარ დაიშალა /პაუზა/. რატომ
დაბინავდი ქალიშვილის სხეულში?

ლმ: /ღიბუკი/. თანამეწყვილა ჩემი...

რბი ყაზრიელი: თორის ბრძანებით მიცვალებულებს არა აქვთ უფლება ცოცხლებს შორის იყვნენ.

ლმ: /ღიბუკი/. მე მკვდარი არა ვარ.

რბი ყაზრიელი: მიღმა ქვეყნად წახვედი და შენი აღგილი იქ არის, ვიდრე მკვდრეთით აღღგომის უამი დადგებოდეს. ამიტომაც ვბრძანებლობ შენზე, რომ გამოხვიდე ქალწულის სხეულიდან და დაუბრუნდე შენს სავანეს.

ლმ: /ღიბუკი. ჩუმაღ/. ცადიკო მირაჰოლელი ვიცი, რამდენად დიდი და ძლიერი ხარ! ვიცოდი, რომ ანგელოზები და სერაფიმები შენს ბაგედაგან წარმოთქმულ ბრძანებებს შეასრულებენ. თუმცა — მე არ დაგმორჩილდები და არც დაგიჯერებ. /გამწარებულად/. არ ვიცი, საით უნდა წავიდე და ქვეყნად არა მაქვს სხვა სავანე, გარდა იმ აღგილისა, სადაც უკვე დავისადგურე. იქ, გარეთ საშინელი უფსკრული მიქადის შთანთქმას და ეშმაკები დას-დასებად მომელოან, რომ შემმუსრონ. არ გამოვალ! არ შემიძლია გამოვიდე!

რბი ყაზრიელი: მიხაელ! მომგვარე იუდეველთა "მინიანი". /მიხაელი გადის და ათ იუდეველთან ერთად დაბრუნდება/.

ღირსეულო ჯამაათო! მაძლევთ თუ არა ნებას და შემიწეობას, რომ სახელითა თქვენითა დიბუკი გამოვდევნო?

მინიანი: ჩვენო რაბონო, გაძლევთ ნებას და სრულ უფლებას, სახელითა ჩვენითა გამოვდევნო დიბუკი!

რაბი მარკიანი: /წამოდგება/სახელითა მრევლისა ისრაელის შვილებისათა, ერისა წმიდისა და სახელითა წმიდა ცადიკიმებისა, მე ყაზრიელ ბენ ჰადასამ გარდავწყვიტე შენზე, დიბუკო, რომ ახლავ, დაუყოვნებლივ გამოხვიდე ხანას ასული ქალწული ლეას სხეულიდან, გამოსვლისას არ მიაყენო არავითარი ვნება არც ქალწულს და არც ერთ აქ დამსწრე აღამიანთაგანს და არც ქვეყნად რომელიმე გაჩენილთაგანს. და თუ არ გამოხვალ, დაგადგები და შეგარვიენებ, ექსორიაგყოფ, შეგრისხავ, მოგაყენებ წყევლა-კრულვასა და ხელით მოქნეულის ყოველივე ძალას... და თუ შეასრულებ ჩემს თხოვნას, შევეცდები, რაც ძალი და ღონე მაქვს, გილხინო შენ და მოგაშორო ყველა ის სატანა და ეშმაკი, რომლებიც შენ გარს შემოგხვევიან.

ლმ: /დიბუკი/. შენი შეჩვენებისა და წყევლა-კრულვისა არ მეშინია და არც შენი დაპირებისა მჯერა. ქვეყნად არ არის ძალა, რომელსაც შეებლოს მომანიჭოს განსვენება. ქვეყნად არა მაქვს

ადგილი. ჩემთვის ყველა გზა დახშულია, ჩემს წინაშე ყველა ჭიშკარი გადაკეტილია. სამოთხეში არ არის უფრო მაღალი ტაძარი, ვიდრე ჩემი ახლანდელი ტაძარია. და არც არის უფრო ღრმა უფსკრული, ვიდრე ჩემთვის გამზადებული უფსკრულია. არსებობენ სამყარონი და ქვეყნები, რომელთაც არა აქვთ სათვალავი და მათ შორის ვერ მოვნახავდი სიმშვიდის მომნიჭებელ იმაზე წმიდა და სპეტაკ ადგილს, ვიდრე ჩემი ახლანდელი სამყოფელია. აქ მე ჩემთვის მშვიდად ვარ, როგორც ბავშვი დედის წიაღში და სიავისა არ მეშინია. ახლა კი თქვენ მიპირებთ განდევნას ამ სამყოფელიდანაც, გემუდარებით ნუ გამაძევენთ! გემუდარებით ნუ შემაფიცებთ!

რბი ყაზრიელი: შენივე ნებით გამოხვალ ხანას ასული ქალწული ლეას სხეულიდან.

ლეა: /ღიბუკი უფრო მეტი სიძლიერით/.
არ გამოვალ!

რბი ყაზრიელი: სახელითა გამჩენისა სამყაროთა გაფიცებ უკანასკნელად, რომ გამოხვიდე ხანას ასული ქალწული ლეას სხეულიდან! თუ ახლაც არ შეისმენ ჩემს სიტყვას, მოგაყენებ შეჩვენებას და მიგკვიმ ბოროტ სულებს! /შემაძრწუნებელი პაუზა/.

ლმ: /ღიბუკი/. სახელითა გამჩენისა ქვეყანა-
თა აჰა რა მე, ღიბუკი დასულღმულეზული ვარ
ჩემს წყვილულში და არ გავეყრები მას უკუნი-
უკუნისამდე!

რბი ჰაზრიელი: მიხაელ! მიეცი ჯამაათს თედრი
ოცტალიოთები, გაეცი განკარგულება გამოაბრძანონ
შვიდი სეფერ-თორა და მოამზადე შვიდი შოფარი და
შვიდი შავი კელაპტარი /მიხაელი გავა. შემადრ-
წუნებელი პაუზა. მიხაელი დაბრუნდება და მოაქვს
შოფარები და შავი კელაპტრები. უკან მოჰყვება
მეშულახი, რომელსაც მოაქვს თედრი იცტალიოთები.
მიხაელი გააღებს წმიდა კიდობანს. მეშულახი
იფელის იცტალიოთებს/.

მეშულახი: ერთი იცტალიოთი მეტია. /მიმოიხე-
დავს/. ვინმე სულიერი ხომ არ გვაკლია?

რბი ჰაზრიელი: /თითქოს იღვიძებსო/. არ შეიძ-
ლება ისრაელის რომელიმე არსების სულს მიაყენო
შეჩვენება წინასწარ, ვიდრე არ მიიღებ ნებას
უზენაეს მოსამართლისაგან /პაუზა/ მიხაელ აიღე
ჩემი კვერთხი, მიდი რაბისთან და მსაჯულებთან;
ჩემი სახელით უთხარი, საჩქაროდ მოვიხმოზ მათ,
მოვიდნენ! /მიხაელი გადის/.

ლმ: /იღვიძებს თავისი ხმით/. ბები! მეშინია!
რას მიპირებენ?

მრიფა: ნუ გეშინია, შვილო, რაბიმ იცის რაც უნდა შეასრულოს.

რაბი ყაზრიელი: სენდერი! სად დარჩნენ ნეფე და მოყვრები?

სენდერი: ბერენიცში დარჩნენ, რათა შინ გაბრუნებულიყვნენ.

რაბი ყაზრიელი: აფრინე მკვირცხლი, ჩემი სახელით შეატყობინოს მათ, რომ დარჩნენ ბერენიცში და ჩემს ბრძანებას დაელოდონ.

სენდერი: ახლავე გავაგზავნი.

რაბი ყაზრიელი: ცოტა ხნით გაიყვანეთ ეს ქალი-შვილი!

სენდერი: რაბი, რაბი! რა ცოდვა მომეკითხა?

რაბი ყაზრიელი: ნეტარები იმას, ვინც სიყვარულით გამჩენისაგან გამოუცდის ნიშნად მიყენებულ გვე-მა-წამებას მიიღებს. ღმერთი მოწყალე და შემბრალეა /სენდერს გაჰყავს ღეა. რაბი ყაზრიელი ზის ფიქრებში წასული. თავს მალა ასწევს. უფრო მეტი სიძლიერით/. ეს განაჩენი უზენაეს სამყაროში რომ იყოს გადაწყვეტილი, მე მას გავაბათილებ! /შემოდის რაბი შიმშონი. მას მოჰყვება

ორი მსაჯული: პირველი და მეორე. წამოდგება მათ შესაგებებლად/. კეთილი იყოს თქვენი მოზრბანება!

რბი შიმშონი და მსაჯულნი: კეთილად დაესწარიოდღეისწორ შაბათს, რაბი !

რბი ყაზრიელი: ჭეშმარიტნო მოსამართლენო! დიდი საქმისათვის გაგსარჯეთ მოსულიყავით აქ. არის ისრაელის ასული ერთი, რომელიც დიბუკისაგან უნდა ვიხსნათ. მასში დიბუკი დასადგურებულა, რომელსაც, უფალო განგვარინენ, არამც და არაძც არ სურს დაეხსნას მას. ერთი გზალა არის დარჩენილი: წარვუდგეთ მას და შევაჩვენოდ და შევრისხოდ იგი. ამის გამო თქვენს სახიერებასა ვთხოვ, რომ ჩაუფიქრდეთ ამ ამბავს და მართლმსაჯულების ღირსებით აღიჭურვოდ.

რბი შიმშონი: /ამოხვნეშით/. ანათემა ცოცხალ არსებისათვის ყველაზე უკიდურესი ზომაა. ამ ამბავს უფრო სიკვდილი დაჰყვება ხოლმე. რადგან სხვა არჩევანი არ გავაჩნია და თქვენი პატიოსნება სცნობს, რომ ამ ამბის საჭიროება დრომ მოიტანა, მეც დასტურს ვიძლევი... მაგრამ რაბის წინაშე თავდაპირველად უნდა განვაცხადო ერთი საიდუმლო, რომელიც დიბუკის მიზეზად იქცა...

რბი ყაზრიელი: გაგვიზიარეთ! თუნდაც მარტო მე, განცალკევებით.

რაბი შიმშონი: არა.ღე, მოისმინონ აქ დამსწრეებ-
მაც. რაბი, გახსოვთ, ამ რამდენიმე წლის წინად
თქვენს სახლში დაიარებოდა ერთი ყმაწვილი კაცი,
სახელად ნისან რიბკასი. დიდად განსწავლული და
ყველასათვის მიღებული...

რაბი ყაზრიელი: როგორ არა, მაგონდება, ჯერ კი-
დეგ შუა ხნის იყო რომ გარდაიცვალა.

რაბი შიმშონი: წუხელი სიზმარში სამჯერ გამო-
მეცხადა და მიდხრა, რომ ღიბუკი, რომელიც ქალ -
წულის სხეულში დასადგურდა ჩემი ვაჟიშვილის სუ-
ლია და სენდერს თორის სამართალში ვიწვევო, რად-
განაც ჩემი ვაჟიშვილის სულის წინაშე დამნაშავე
თვითონ სენდერი არისო.

რაბი ყაზრიელი: რაში თვლის სენდერს დამნაშა-
ვედ?

რაბი შიმშონი: არ განმიცხადა... მაგრამ გამახ-
სენდა რაც წინაშე გამიგონია, რომ სენდერო ამ
მიცვალებულის მეგობარი იყო და განსვენებულის
ვაჟიშვილს შესაფერისად არ მოეპყრა...

რაბი ყაზრიელი: როდესაც ებრაელი თავის მეგო-
ბარს თორის სამართალში იწვევს, განსაკუთრებით
თუ მამიებელი გარდაცვლილია, რაბის ათა აქვს უფ-
ლება წინააღმდეგობა გაუწიოს. ყოველ შემთხვევა-

ში, გარდაცვალებულის მაძიებლობა დიბუკს ვერ გაამართლებს. დიბუკი უნდა გამოვიდეს ქალწულიდან, რათა ნეკერი ჩვილი ისრად გაანშტოებიდან არ აღიკვეთოს. და ამრიგად წყვდიადში ბრმებივიდ რომ არ ვიხეტიართ, დიბუკს ნახევარი ღლის ვადა მივცეთ. ხვალ მოცლილობის შემდეგ, თუ გამჩენის ნება იქნება, მისი სახელის დასაპატიოსნებლად ზმანებანი გამოვიწვიოთ და მიცვალებული თორის სამართალში მოვიპატიოთ; ამის შემდგომ, თქვე-ნის ნებართვით დიბუკი განვდევნოთ.
